*დანართი №5*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**გიორგი მომცელიძე** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე)

წევრები:

**ლია ჯალაღონია** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

**მარინა ჯალიაშვილი** (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

**მანანა სეხნიაშვილი** (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

**ვარდო გოგილავა** (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

**ეთერ ქუთათელაძე** (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

**ნანა ჩავლეშვილი** (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

**თეა გაბისონია** (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

**ლალი აბულაძე** (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი )

**ალექსანდრე ლაცაბიძე** (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

**ნინო მახარაშვილი** (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | ზოგადსაგანმანათლებლო დასესებულება (საჯარო სკოლა) |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 219985737 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. ზუგდიდი |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ.ზუგდიდი რ. თაბუკაშვილის ქუჩა N45 |
| საფოსტო ინდექსი | 2100 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | Skolebi.emis.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Zugdidi11@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 551094555 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 9 26 0000337986, 20/03/2026 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2026 წლის 21 და 22 აპრილი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ"* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | დაწყებითი | ქართული | ქ. ზუგდიდი. რ. თაბუკაშვილის ქუჩა N45 (ერთი სასწავლო შენობა) |
| 2 | ზოგადი განათლების დაწყებითი საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საბაზო | ქართული | ქ. ზუგდიდი. რ. თაბუკაშვილის ქუჩა N45 (ერთი სასწავლო შენობა) |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის | საშუალო | ქართული | ქ. ზუგდიდი. რ. თაბუკაშვილის ქუჩა N45 (ერთი სასწავლო შენობა) |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

2026 წლის 21 და 22 აპრილს სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.
ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.
ექსპერტა ჯგუფის შემადგენლობაში განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.
ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს ,სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან,
ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შესაბამება<br>☒ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შესაბამება<br>☒ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 440 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | | |
| | | |
| ***სტანდარტი N4***<br>*ინდიკატორი N* | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***ხარვეზი*** |

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>*(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | ***ხარვეზი*** |
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N1*** | **სკოლის ფილოსოფია** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა* | *სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 2027 წლის 20.02 მდე უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის მოპოვება და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან.*2027 წლის 01.02 მდე უზრუნვეყოს სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა. |
| *N3.5.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და* | *სკოლამ 10.02.2027 მდე უზრუნველყოს აზომვითი ნახაზების, საკადასტრო გეგმისა და განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერის წარმოდგენა.* |

| | | |
|---|---|---|
| | *დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით* | |
| *ინდიკატორი 3.5.1.3.* | *სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკ სერვისების მიწოდებას მის მი დადგენილი წესის მიხედვით:* | სკოლამ 04.09.2029 ჩათვლით უზრუნველყოს ბიბლიოთეკარის ვაკანსიის გამოცხადება და მისი აყვანა. |
| *ინდიკატორი 3.5.1.4.* | *სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნ სწავლის ინკლუზიურ გარემოს* | სკოლამ 22.05.2027 ჩათვლით უზრუნველყოს დამონტაჟებული ლიფტის გამართული ფუნქციონირება. |
| *ინდიკატორი N3.1.2.4.* | *პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამ დაკავებულ თანამდებობას* | სკოლამ 04.09.2026 ჩათვლით აიყვანოს შესაბამისი კვალიფიკაციის სკოლის ექიმი. |

| ***სტანდარტი N2*** | ***სასკოლო კურიკულუმი***<br>*(ასხეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*<br>***საბაზო, საშუალო*** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.2.2.3.* | *კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით* | *სკოლას ეძლევა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტად გაჯანსაღებისა და ექსპერიმენტული ნაწილის სრულყოფილად ჩატარებისთვის, შეავსოს ლაბორატორიული ბაზა (ცეცხლგამძლეზედაპირიანი მაგიდით, დამატებითი თვალსაჩინოებებით, ქიმიური რეაქტივებითა და მულაჟებით, ცხრილებით და ა. შ.)სკოლის მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო პაკეტის და შესაბამისობის გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური ბაზის ეტაპობრივ გამდიდრებას 2027 წლის 31 იანვრისათვის.* |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| **სტანდარტი N1** | **სკოლის ფილოსოფია** | **რჩევა** |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | *სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა* | *რჩევა* |
| *N3.4.1.1.* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა* | *სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა.* |
| | | |
| **სტანდარტი N4** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **რჩევა** |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N4.2.3.1.* | *სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი* | *სასურველია რესურსოთახის აღჭურვა რბილი ინვენტარით (მაგ: პუფები, ხალიჩა, რბილი კუთხე). ეს ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლეთათვის სენსორული განტვირთვის სივრცის შექმნას და სასწავლო პროცესის უფრო მრავალფეროვანი, ინტერაქციული მეთოდებით წარმართვას.* |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| | *დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | |
| *ინდიკატორი N1.1.2.1.* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***ბუნებისმეტყველება***<br>*სასურველია, რომ კურიკულუმებით უზრუნველყოფილი იყოს ყველა სამიზნე ცნებაზე გასვლა. გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალებები დააფუძნოთ კონტექსტ-მაგალითებს. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შესთავაზეთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. გაითვალისწინეთ, კომპლექსური დავალების პირობაში მკაფიოდ გამოკვეთოთ შემოქმედებითი პროდუქტის აღწერა. გაითვალისწინეთ,კურიკულუმში მხოლოდ სტანდარტის თემები ასახეთ და არა სახელმძღვანელოს თემები.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.1.* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*დაწყებით საფეხურზე, საგანში „მე და საზოგადოება", სასურველია შემოქმედებითი დავალებების საკითხთა დაჯგუფება (საკითხი/საკითხთა კლასტერი) მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკითხების მექანიკური გაერთიანება.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.1.2.1.* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***მათემატიკა***<br>*სასურველია, **სამივე საფეხურის** კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით.*<br><br>*სასურველია, რომ მათემატიკის კათედრამ, როგორც **დაწყებით** და **საბაზო,** ასევე **საშუალო** საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, შუალედური მიზნების დაგეგმვისას, შემოქმედებით დავალებებში მეტად გამოკვეთონ რა პროდუქტს ქმნიან მოსწავლეები.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.1.* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***დაწყებითი განათლება***<br>*სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმის დაგეგმვისას ითანამშრომლონ და გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. დაგეგმონ საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით. მე-3 და მე-4 კლასის ბუნებისმეტყველებაში ჩაასწორონ სავალდებულო თემების დასახელება საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. თემები ოთხივე კლასში ჩაწერონ პირველ სვეტში.ასევე სამიზნე ცნება( და არა მცნება) ყველა კლასში გაასწორონ და გადაიტანონ მე-2 სვეტად. მათემატიკაში 1-4 კლასებში თემები ოთხივე კლასში ჩაწერონ პირველ სვეტში. ასევე სამიზნე ცნება გადაიტანონ მე-2 სვეტად. თემები გადაალაგონ სახელმძღვანელოს მიხედვით.*<br>*ქართულსა და მე და საზოგადოებაშიც გაითვალისწინონ იგივე მითითება, რაც მათემატიკაში.* |
| ***ინდიკატორი N1.1.2.2.*** | *კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს* | ***სახელმწიფო ენა***<br>*(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურები) სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ სტრუქტურირებას და ცნებების ეტაპობრივ გააზრებას.*<br>*კურიკულუმში საკითხი/დავალებები ზოგ შემთხვევაში არაერთგვაროვნადაა ფორმულირებული. სასურველია , კათედრაზე შეთანხმდნენ და საკითხი და დავალება ჩამოყალიბდეს ერთიანი* |

| | | |
|---|---|---|
| | | *პრინციპების დაცვით. ამისათვის, იხელმძღვანელონ სახელმწიფო ენის საგნობრივი გზამკვლევის მეთოდური რეკომენდაციებით.აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.2.* | *კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს* | ***მათემატიკა***<br>*სასურველია, კურიკულუმებში გაიწეროს შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში (მაგ:V და XI კლასი) ;*<br><br>*სასურველია, მათემატიკის კათედრაზე, შუალედური მიზნის მისაღწევად შერჩეული შემოქმედებითი დავალების იდეა, ჩამოყალიბდეს საგნობრივ სტანდარტში სამიზნე ცნებების შედეგების გათვალისწინებით, სადაც გამოკვეთილი იქნება შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნიან მოსწავლეები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით;* |
| *ინდიკატორი N1.1.2.3.* | *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* | ***ბუნებისმეტყველება***<br>*სასურველია, კურიკულუმში ასახოთ, რომელ მატერიალურ რესურსებს იყენებთ გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.3.* | *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*სასურველია, დაწყებითი კურიკულუმების, კერძოდ III და IV კლასების „მე და საზოგადოება" და V და VI კლასების „ჩვენი საქართველო" კურიკულუმის ჩარჩოს ბოლო სვეტში — „რესურსები" — აისახოს დამხმარე რესურსები, მაგალითად: ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტერნეტრესურსები და ა.შ.* |

| | | |
|---|---|---|
| | *კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* | |
| *ინდიკატორი N1.1.2.3.* | *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* | ***მათემატიკა***<br>*(დაწყებითი, საბაზო და საშუალო)*<br>*გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმებში თემათა ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსი/რესურსები, სასურველია მათემატიკის კათედრამ იმავე პრინციპით იხელმძღვანელოს იმ თემათა შემთხვევაშიც, სადაც დამატებითი რესურსი მწირია, ან საერთოდ არ არის მითითებული; მასწავლებელთა გამოცდილება და სკოლის ტექნიკური ბაზა იძლევა აღნიშნული რჩევის გათვალისიწინების შესაძლებლობას.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.4.* | *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს* | ***დაწყებითი სწავლება***<br>*სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმშივე გაითვალისწინოს სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი საკითხები და დავალების იდეა, საჭირო რესურსებით.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.5.* | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | ***ბუნებისმეტყველება***<br>*სასურველია მომავალში შეფასების რუბრიკები შემუშავდეს ყველა სასწავლო თემის შესაბამისად.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.5.* | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*სასურველია, ყველა კლასში ყველა საგნის ფარგლებში შეიქმნას განმსაზღვრელი (V და VI კლასები) და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაფუძნებული იქნება თემის შეფასების ინდიკატორებზე.* |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N1.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | **სახელმწიფო ენა**<br>სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე ზრდის შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას. |
| ინდიკატორი N1.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | **მათემატიკა**<br><br>სასურველია, **სამივე საფეხურზე** მათემატიკის კათედრაზე შეფასების რუბრიკები გადამუშავდეს, რათა შემოქმედებით დავალებებზე მეტად იყოს მორგებული, მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს (მათემატიკური მოდელირება, კანონზომიერება, ლოგიკა) და დამყარებული იყოს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე.<br><br>მიზანშეწონილია ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალებას და თემის შემაჯამებელი წერის დავალებას ახლდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას. |
| ინდიკატორი N1.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | **დაწყებითი განათლება**<br><br>კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.2.1.1. | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად | **სახელმწიფო ენა**<br><br>საურველია (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას,ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. |
| ინდიკატორი N2.2.1.1. | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად | **დაწყებითი განათლება**<br><br>სკოლას მიეცა რჩევა სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **მათემატიკა**<br>სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **დაწყებითი განათლება**<br>სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება . |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.2.2.1.* | *კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში* | ***ბუნებისმეტყველება***<br>*სასურველიაკურიკულუმებში მიუთითოთ ის მატერიალური რესურსებიც, რასაც იყენებთ გაკვეთილებზე სასწავლო მიზნების მისაღწევად.* |
| *ინდიკატორი N2.2.2.1.* | *კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*სასურველია, კურიკულუმებში დაემატოს დამხმარე რესურსები.* |
| | *საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | |
| *ინდიკატორი N1.1.2.1.* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***ბუნებისმეტყველება***<br>*სასურველია ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს შესთავაზოთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.1.* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br>*სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმები გადაიხედოს და ყველა შემოქმედებითი დავალების საკითხთა კლასტერი შინარსის მიხედვით დაჯგუფდეს.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.1.* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე* | ***მათემატიკა*** |

| | | |
|---|---|---|
| | ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | სასურველია, **სამივე საფეხურის** კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით.<br><br>სასურველია, რომ მათემატიკის კათედრამ, როგორც **დაწყებით** და **საბაზო,** ასევე **საშუალო** საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, შუალედური მიზნების დაგეგმვისას, შემოქმედებით დავალებებში მეტად გამოკვეთონ რა პროდუქტს ქმნიან მოსწავლეები. |
| ინდიკატორი N1.1.2.2. | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | **სახელმწიფო ენა**<br>(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურები) სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ სტრუქტურირებას და ცნებების ეტაპობრივ გააზრებას.<br>კურიკულუმში საკითხი/დავალებები ზოგ შემთხვევაში არაერთგვაროვნადაა ფორმულირებული. სასურველია, კათედრაზე შეთანხმდნენ და საკითხი და დავალება ჩამოყალიბდეს ერთიანი პრინციპების დაცვით. ამისათვის, იხელმძღვანელონ სახელმწიფო ენის საგნობრივი გზამკვლევის მეთოდური რეკომენდაციებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან. |
| ინდიკატორი N1.1.2.3. | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | **ბუნებისმეტყველება**<br>სასურველია, კურიკულუმში ასახოთ, რომელ მატერიალურ რესურსებს იყენებთ გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.1.2.3.* | *კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* | ***მათემატიკა*** *გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმებში თემათა ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსი/რესურსები, სასურველია მათემატიკის კათედრამ იმავე პრინციპით იხელმძღვანელოს იმ თემათა შემთხვევაშიც, სადაც დამატებითი რესურსი მწირია, ან საერთოდ არ არის მითითებული; მასწავლებელთა გამოცდილება და სკოლის ტექნიკური ბაზა იძლევა აღნიშნული რჩევის გათვალისიწინების შესაძლებლობას.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.4.* | *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს* | ***მათემატიკა*** *სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებითი დავალებების იდეაში გამოკვეთილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნიან მოსწავლეები, ისე რომ შესაძლებელი იყოს ამ პროდუქტის დიფერენცირება.*<br><br>*სასურველია, კურიკულუმში აისახოს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესაბამისი ჩანაწერები დავალებების დიფერენცირებასთან* |
| *ინდიკატორი N1.1.2.4.* | *სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს* | *მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით, საურველია მოსაწავლეებს შესთავაზოთ არჩევანი შემოქმედებითი დავალების პროდუქტების შექმნისას.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.5.* | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | ***ბუნებისმეტყველება*** *სასურველია მომავალში შეფასების რუბრიკები შემუშავდეს ყველა სასწავლო თემის შესაბამისად.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.5.* | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით* | ***სახელმწიფო ენა*** *მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის სასურველია შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები,* |

| | | |
|---|---|---|
| | განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე ზრდის შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას. |
| ინდიკატორი N1.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | **მათემატიკა**<br><br>სასურველია, **სამივე საფეხურზე** მათემატიკის კათედრაზე შეფასების რუბრიკები გადამუშავდეს, რათა შემოქმედებით დავალებებზე მეტად იყოს მორგებული, მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს (მათემატიკური მოდელირება, კანონზომიერება, ლოგიკა) და დამყარებული იყოს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე. მიზანშეწონილია ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალებას და თემის შემაჯამებელი წერის დავალებას ახლდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br><br>კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას სასურველია დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებისა და მოთხოვნების გათვალისწინება - განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სწორედ ამ კრიტერიუმებს უნდა ეყრდნობოდეს. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **სახელმწიფო ენა**<br>(დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის სასურველია შეიმუშაონ ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებული შეფასების |

| | | |
|---|---|---|
| | | რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას,ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **მათემატიკა**<br>სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **ბუნებისმეტყველება**<br>სასურველია ყველა თემისთვის შექმნათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები |
| ინდიკატორი N2.2.2.1. | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | **ბუნებისმეტყველება**<br>სასურველია კურიკულუმებში მიუთითოთ ის მატერიალური რესურსებიც, რასაც იყენებთ გაკვეთილებზე სასწავლო მიზნების მისაღწევად. |
| ინდიკატორი N2.2.2.1. | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | **საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br><br>სასურველია, კურიკულუმებში დაემატოს დამხმარე რესურსები. |
| | საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N1.1.2.1.* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br><br>*სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმები გადაიხედოს და ყველა შემოქმედებითი დავალების საკითხთა კლასტერი შინარსის მიხედვით დაჯგუფდეს.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.1.* | *შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას* | ***მათემატიკა***<br>*სასურველია, **სამივე საფეხურის** კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით.*<br><br>*სასურველია, რომ მათემატიკის კათედრამ, როგორც **დაწყებით** და **საბაზო,** ასევე **საშუალო** საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, შუალედური მიზნების დაგეგმვისას, შემოქმედებით დავალებებში მეტად გამოკვეთონ რა პროდუქტს ქმნიან მოსწავლეები.* |
| *ინდიკატორი N1.1.2.2.* | *კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს* | ***სახელმწიფო ენა***<br>*(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურები) სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ სტრუქტურირებას და ცნებების ეტაპობრივ გააზრებას.*<br>*კურიკულუმში საკითხი/დავალებები ზოგ შემთხვევაში არაერთგვაროვნადაა ფორმულირებული. სასურველია, კათედრაზე შეთანხმდნენ და საკითხი და დავალება ჩამოყალიბდეს ერთიანი პრინციპების დაცვით. ამისათვის, იხელმძღვანელონ სახელმწიფო ენის საგნობრივი გზამკვლევის მეთოდური რეკომენდაციებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან.* |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N1.1.2.2. | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | **მათემატიკა**<br>სასურველია, კურიკულუმებში გაიწეროს შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში (მაგ:V და XI კლასი) ;<br><br>სასურველია, მათემატიკის კათედრაზე, შუალედური მიზნის მისაღწევად შერჩეული შემოქმედებითი დავალების იდეა, ჩამოყალიბდეს საგნობრივ სტანდარტში სამიზნე ცნებების შედეგების გათვალისწინებით, სადაც გამოკვეთილი იქნება შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნიან მოსწავლეები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით; |
| ინდიკატორი N1.1.2.3. | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | **ბუნებისმეტყველება**<br>სასურველია, კურიკულუმში ასახოთ, რომელ მატერიალურ რესურსებს იყენებთ გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა. |
| ინდიკატორი N1.1.2.3. | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | **მათემატიკა**<br>გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმებში თემათა ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსი/რესურსები, სასურველია მათემატიკის კათედრამ იმავე პრინციპით იხელმძღვანელოს იმ თემათა შემთხვევაშიც, სადაც დამატებითი რესურსი მწირია, ან საერთოდ არ არის მითითებული; მასწავლებელთა გამოცდილება და სკოლის ტექნიკური ბაზა იძლევა აღნიშნული რჩევის გათვალისიწინების შესაძლებლობას. |
| ინდიკატორი N1.1.2.4. | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | **ბუნებისმეტყველება**<br>მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით, სასურველია მოსაწავლეებს შესთავაზოთ არჩევანი შემოქმედებითი დავალების პროდუქტების შექმნისას. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N1.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | **ბუნებისმეტყველება**<br>სასურველია მომავალში შეფასების რუბრიკები შემუშავდეს ყველა სასწავლო თემის შესაბამისად. |
| ინდიკატორი N1.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | საზოგადოებრივი მეცნიერებები<br>სასურველია, ყველა კლასში ყველა საგნის ფარგლებში კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები უნდა დაეყრდნოს დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს/მოთხოვნებს. |
| ინდიკატორი N1.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | **სახელმწიფო ენა**<br>სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე ზრდის შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას. |
| ინდიკატორი N1.1.2.5. | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | **მათემატიკა**<br><br>სასურველია, **სამივე საფეხურზე** მათემატიკის კათედრაზე შეფასების რუბრიკები გადამუშავდეს, რათა შემოქმედებით დავალებებზე მეტად იყოს მორგებული, მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს (მათემატიკური მოდელირება, კანონზომიერება, ლოგიკა) და დამყარებული იყოს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე.<br><br>მიზანშეწონილია ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალებას და თემის შემაჯამებელი წერის დავალებას ახლდეს განმსაზღვრელი და |

| | | |
|---|---|---|
| | | განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br><br>კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას სასურველია დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებისა და მოთხოვნების გათვალისწინება - განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სწორედ ამ კრიტერიუმებს უნდა ეყრდნობოდეს. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **სახელმწიფო ენა**<br>(დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლებმა სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას,ობიქტურობასა და გამჭვირვალობას. |
| ინდიკატორი N2.2.1.3. | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | **მათემატიკა**<br>სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N2.2.1.3.* | *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი* | *ბუნებისმეტყველება*<br>*სასურველია ყველა თემისთვის შექმნათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები* |
| *ინდიკატორი N2.2.2.1.* | *კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში* | ***ბუნებისმეტყველება***<br>*სასურველია კურიკულუმებში მიეთითოს ის მატერიალური რესურსებიც, რასაც იყენებთ გაკვეთილებზე სასწავლო მიზნების მისაღწევად.* |
| *ინდიკატორი N2.2.2.1.* | *კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში* | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br><br>*სასურველია, კურიკულუმებში დაემატოს დამხმარე რესურსები.* |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას . წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად 31.01.2027 ჩათვლით სკოლა უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას და მის აღჭურვას საჭირო ინვენტარითა და შესაბამისი რესურსებით. 2027 წლის 31იანვრის ჩათვლით სკოლა უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის

მოწყობას და მის აღჭურვას საჭირო ინვენტარითა და შესაბამისი რესურსებით. 20.02.2027 ჩათვლით სკოლას უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის მოპოვებას. 01.02.2027 ჩათვლით მიმართვას სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. 20.02.2027 ჩათვლით უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას უფლებამოსილ ორგანოსთან. 10.02.2027 ჩათვლით უზრუნველყოფს აზომვითი ნახაზების, საკადასრო გეგმისა და განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერის მოპოვებას. 04.09.2026 ჩათვლით სკოლა გამოაცხადებს ვაკანსის და აიყვანს ბიბლიოთეკარს. 22.05.2027 ჩათვლით უზრუნველყოფს ლიფტის გამართულ მუშაობას, 04.09.2026 ჩათვლით გამოაცხადებს და აიყვანს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმს.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი, ასევე 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლის მისიაა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, სკოლის მისიაა: ფიზიკურად, ემოციურად და ციფრულად უსაფრთხო, ჯანსაღ და პოზიტიურ სასკოლო გარემოში, ხარისხიანი განათლებისა და ინოვაციური მიდგომების მეშვეობით აღვზარდოთ კონკურენტუნარიანი, თავისუფლად მოაზროვნე, ეროვნული ღირებულებების მატარებელი მოქალაქეები, რომლებიც მზად არიან გლობალური გამოწვევების საპასუხოდ. ხედვა 2030 წლისთვის სსიპ ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლა იქნება თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცე, სადაც ყოველი მოსწავლე აღმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობებს და მზად იქნება მომავლის გამოწვევებისთვის. ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდების ჰარმონიული შერწყმით, ციფრული რესურსებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, სკოლა მოსწავლეს ჩამოუყალიბებს კრიტიკულ აზროვნებას და განუვითარებს შემოქმედებით უნარებს. ციფრული წიგნიერებითა და სამოქალაქო პასუხისმგებლობით, ჩვენი კურსდამთავრებულები შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ჩართვას და ღირსეულად დაიმკვიდრებენ თავს გლობალურ სამყაროში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიაში წარმოაჩენს საკუთარ თავს, როგორც საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. აღნიშნულს მოწმობს, რომ სსიპ ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლა

მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ფიზიკურად, ემოციურად და ციფრულად უსაფრთხო, ჯანსაღ და პოზიტიურ სოციო-კულტურულ სივრცეს, სადაც თითოეული მოსწავლის პიროვნული განვითარება უპირველესი პრიორიტეტია **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**
 - სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2026 წლის 26 იანვრის #2-6 ბრძანების მიხედვით შექმნილია მისიას, ხედვასა და ღირებულებებზე მომუშავე ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს მასწავლებელს, ადმინისტრაციას, მოსწავლესა და მშობელს. სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცედურები. სკოლის წარმომადგენლებთან, სამუშაო ჯგუფის წევრებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და გამომდინარეობს მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახული პროცესებიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**
სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც მოწმობს 2024-2025 სასწავლო წლის პედაგოგიური საბჭოს N1 ოქმი, რომლის მიხედვითაც სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია სკოლის მისია). გარდა ამისა, სკოლას შემუშავეებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც მოხდება სკოლაში დოკუმენტების გაზიარება. კერძოდ, ელექტრონული ფოსტის, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის eFlow-ს, საჯარო ღონისძიებების - ინტერაქციული ორმხრივი კომუნიკაციის საშუალებით აუდიტორიასთან, ბეჭდვითი - მატერიუალური მასალებისა და სკოლის Facebook გვერდის საშუალებით ხდება. სკოლის ჰოლში გამოკრულია სკოლის მისია, შინაგანაწესი და სხვდასხვა დოკუმენტაცია. აღნიშნულიდან გამოდინარე ნათლად ჩანს, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი როგორც სასკოლო საზოგადოების, ასევე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისთვის. იგი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას (სკოლის საიტზე, სკოლის ჰოლში,

საინფორმაციო დაფაზე) ასევე გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდზე და Facebook - ის გვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ "ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-6;
2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
3. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
4. ელექტრონული გამოკითხვის ფორმა და შედეგები Skolebi.emis.ge -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტები.
5. სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025
6. სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს** - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის # 2-5 ბრძანებით (26 იანვარი 2026). აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს, საზოგადოებასთან განვითარების მექანიზმებს, სამუშაო ჯგუფის ფორმირებასა და შემადაგენლობას, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას სამოქმედო გეგმაში ცვლილებებს, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანასა და გაზიარებას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს** - სკოლას დამკიცებული აქვს სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი ,გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა რომელიც შვიდწლიანია (2023-2030 წლები) და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და სკოლის SWOT ანალიზს. სტრატეგიული გეგმის პროექტში განხილულია სხვადასხვა მიმართულება - სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი ამოცანები და შესრულების პერიოდი. სკოლამ სტრატეგიულ გეგმას რევიზია გაუწია 2026 წელს, რის მიხედვითაც განახორციელა გარკვეული ცვლილებები. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა პროცედურების სრული დაცვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას** - სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი (2025-2026 სასწავლო წლის). სამოქმედო გეგმაში გაწერილია ის მიმართულებები, რომლის მიხედვითაც გეგმავს სკოლა მუშაობას ერთი წლის განმავლობაში. მაგალითად, 1. სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება. 2. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. 3. სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება. 4. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია. 5.სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა. 6. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით. სკოლის ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და მასში გათვალისწინებულია 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმის მონიტორინგის და სკოლის თვითშეფასების საკითხები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია** - სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმაში მოცემულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. მაგალითად, სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება, ამის შემდეგ მოცემულია კონკრეტული აქტივობების ნუსხვა ამ მიზნის მისაღწევად. მაგალითად, სკოლის დოკუმენტაციის: სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, შემდეგ განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და ვადები. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული ვადები რეალისტურია, აღნიშნულ დოკუმენტში ნათლად არის წარმოდგენილი გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5. 17.11.2023წ
- სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 18.02.2026 წლის N7 სხდომის ოქმი;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.
- სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 17.02.2026 წლის N3 სხდომის ოქმი

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს** - სკოლამ ავტორიცაზიის ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტისას წარუდგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნული დოუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირქტორის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: სტრატეგიული დაგეგმვის ქვეპროცესებს; სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულ მხარებს; სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს; გაზიარების მექანიზმებს; სამუშაო ჯგუფის ფორმირებასა და შემდგენლობას; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება; მონიტორინგისა და შეფასების მიზნით სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყების წინ დირექტორი ქმნის სამუშაო ჯგუფს, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ჯგუფს, რომლის წევრები შერჩეულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან და ბრძანებით ამტკიცებს მას. სამუშაო ჯგუფის ბრძანებით განსაზღვრულია: სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი, სამუშაო ჯგუფის წევრები. მონიტორინგის ჯგუფის წევრებად განსაზღვრულია, ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და ჯგუფის წევრები. სამუშაო ჯგუფისა და მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა შეიძლება დასაბუთების საფუძველზე **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით** - სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგიაში გათვალისწინებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობა, გეგმების გაზიარება და უკუკავშირის მიღება. ინტერვიუერებისას, სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ტარდება შემაჯამებელი ღონისძიება და სკოლა ამ ღონისძიებაზე აკეთებს შესრულებული სამუშაოების რეზუმერიბას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა** - სკოლის ადმინისტრაციის განმარტებიით, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს (მაგ: სასკოლო პროექტის სახით, რომელიც გასულ წელს განხორციელდა სკოლაში, დასკვნითი და შემაჯამებელი აქტივობები გამოიფინა სკოლის დერეფნებში, პრეზენტაციებზე დასწრება ღიაა თემში შემავალი

ყველა დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული აქტივობის (პროექტის) მიმდინარეობის ამსახველი ფოტო მასალა გამოქვეყნდა სკოლის facebook გვერდზე; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის** - სკოლის დირექტორის, გასული სასწავლო წლის ანგარიში მრავლამხრივია და მოიცავს ძირითად საკითხებს, მოსწავლეებს მათ შედეგებს, პედაგოგებსა და მათ შედეგებს. ანგარიში შემუშავებულია საგნობრივი კათედრების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული ანგარიშები საფუძვლად ედება მომდევნო სასწავლო წლის გეგმების შემუშავებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება „სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**
**3.1. პერსონალის მართვა**
**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. - სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა, ასევე საშტატო განრიგი, რომელიც შემუშავებულია დირექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. წარმოდგენილი საშტატო განრიგის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, , ექიმი, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი, სპეციალური მასწავლებელი-2, სსსმ ასისტენტი-3, ცეცხლფარეში, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ფსიქოლოგი, საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებლები. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვიმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაცისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანაშმრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური

რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ნათლად არის აღწერილი სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტის ტიპი, პერსონალის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას** - თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია და შინაგანაწესის დანართი, განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხა;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტის დამტკიცების ოქმი;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად** - სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით აქვს დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება პერსონალის მართვის პროცესები. დოკუმენტში ნათლად არის გაწერილი თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა. დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია. წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა** - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით გაწერილია სხვადასხვა მნიშვნელოვანი პუნქტი. წარმოდგენილია პერსონალის არყოფნის შემთხვევაში მისი ჩანაცვლების მექანიზმები, ასევე სკოლის შინაგანაწესში ნათლად არის გაწერილი საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის საკითხები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით** - სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი, რომელიც შემუშავებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად.ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმდა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსების დოკუმენტაცია, რომლების სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებსა და დირექციის წარმომადგენლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ. ცნობები „სქესობრივი

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას** - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. აქედან გამომდინარე მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას. რაც შეეხება სხვა პერსონალის კვალიფიკაციას, სკოლას ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს პესონალის კვალიფიაცია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა პერსონალის კვალიფიკაციები , სკოლას საშტატო განრიგში და სკოლის სტრუქტურაში წარმოდგენილია ექთნის შტატი, თუმცა სკოლის დირექტორის 2026 წლის 11 თებერვლის 2-21 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულებაში გაწერილია ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნულ დოკუმენტში ექთნის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ ფიქსირდება. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და მის მიერ შედგენილი შესაბამისობის გეგმა, სადაც თავდაპირველად დაფიქსირებული იყო ტექნიკური ხარვეზი, რის შედეგადაც სკოლის მიერ წარმოდგენილი წერილი 29/05/2026 MES 6 26 0000643910, რომლის გათვალისწინებითაც სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**: სკოლამ 04.09.2026 ჩათვლით აიყვანოს შესაბამისი კვალიფიკაციის სკოლის ექიმი. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია ;**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს** - სკოლის მართვა თანამონაწილეობრივია. მასში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება (დირექცია, ადმინისტრაცია და თანამშრომლები).სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების შემუშავება. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს. სკოლის სტრუქტურული ერთეულები მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო იყენებენ თანამშრომლობით პრინციპს. სტრუქტურული ერთეულები დამოუკიდებლად მოქმედებენ, იღებენ გადაწყვეტილებებს. ორგანიზაციული კულტურის განვითარებას ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტი. ასევე,

პედაგოგიური საბჭოს მუშაობა, სამეურვეო საბჭოს შეხვედრები და სხვა. ასევე სხვადასხვა პროექტით, გუნდებით ჩანს, რომ წახალისებულია სასკოლო კულტურა; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი** - სკოლის შენაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. ასევე სკოლას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს თანამშრომლეთა მოტივაცია, რაც გულისხმობს თანამშრომელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას. ხოლო წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით კათედრები წარადგნენ კანდიდატურას, რაც ნიშნავს იმას, რომ კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და შემდეგ ხდება მათი წარდგენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის შრომითი / მომსახურების ხელშეკრულებები;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები -** სკოლას მასწავლებლის საჭიროების დადგენის მექანიზმად წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა, გაკვეთილის გეგმის შეფასების სქემა. სკოლას ასევე ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის ფუნქციებში შედის მასწავლებელთა მუდმივი დაკვირვება და განმავითარებელი უკუკავშირი. ასევე პერსონალის შეფასების და მათი პროფესიული მხარდაჭერის კუთხით, სკოლას გაწერილი აქვს მექანიზმები თანამშრომელთა შეფასებისა და წახალისების კუთხით**;** სკოლას აქვს გაწერილი პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
**ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად** - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია პერსონალის განვითარების გეგმა. სკოლა ასევე გეგმავს დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები, ტრენინგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას** - სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ამოცანები. სკოლის პერსონალის გადამზადება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდას და სკოლის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით სკოლა მასწავლებლებს აწვდის დროულ ინფორმაციას ხელმისაწვდომი ტრენინგების შესახებ. მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი ტრენინგზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტი ცნობის ან სერთიფიკატის სახით. სკოლას ადამიანური რესურსბის მართვის პოლიტიკის

დოკუმნეტში გაწერილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. აღნიშნული პუნქტი არეგულირებს პერსონალის საჭიროებების დადგენას, და შემდეგ წინსვლის ხელშეწყობას. ამასთანავე, 2025 -2026 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში კათედრებზე შეიქმნა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გეგმა გრაფიკი. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მასწავლებელბი პერმანენტულად გადიან ტრენინგებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან** - სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის პუნქტი - ახალი თანამშროლის სოციალიზაცია. ამ მიმართულებით გაწერილია ის ზოგადი ნაბიჯები, რომლებსაც დგამს სკოლა ახალი თანამშრომლის მიღებისას. გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები** - სკოლის შინაგანაწესი და ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომლების წახალისების ფორმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის თანამშრომელთა ადაპტაციის წესი;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესის მართვა

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად** - სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ხარისხის განვითარების ჯგუფის საქმიანობა ადასტურებს აღნიშნულ ინდიკატორს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები** - საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. გაწერილია დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. სკოლის საქმიანობის მმართველობითი პროცესები აღწერილია სკოლის ადმინისტრაციულ და უმაღლესი მმართველობითი რგოლის საქმიანობაში, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა** - სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები", აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მიღებული შედეგის გასაჩივრების ეტაპებსაც. ხოლო თანამშრომელთა მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრება ხორციელდება დისციპლინური კომიტეტისა და სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები** - სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები". **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმნეტი;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის გასაჩივრების პროცედურები.
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის „ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა ეფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულებით.
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება „მოსწავლეთა ეფლებების დაცვის მექანიზმების მიმართულების დამკიცების შესახებ".

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები** - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგია, დოკუმენტში გაწერილია საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები; სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სწავლა-სწავლების პროცესში. უკუკავშირის მიზნით, მათ ეგზავნებათ სსგ დებულებები და სხვა საჭიროების შემთხვევაში საკითხები განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, შეხვედრებზე, სადამრიგებლო საათებზე, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მოსწავლეები და მათი მშობლები იღებენ ინფორმაციას სასწავლო შედეგებისა თუ პრობლემების შესახებ. სკოლას, მასწავლებებსა, დამრიგებლებს აქვთ სოციალურ ქსელში შექმნილი სამიზნე ჯგუფები, რომლებიც ასევე ხელს უწყობს სწრაფ და ეფექტურ უკუკავშრის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა** - დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემდგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში**. ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის Facebook გვერდი;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

   სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი, უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შესათანხმებელია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. გარდა აღნიშნულისა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, არის ცეცხლმაქრობები და დამონტაჟებულია კვამლის ამომცნობი დეტექტორები.

სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გაწერილია პრობლემის აღმოფხვრის კონკრეტული და გაზომვადი გზები. **რეკომენდაცია : სკოლამ შესაბამისობის გეგმის მიხედვით 2027 წლის 20.02 მდე უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის მოპოვება და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან, ასევე 2027 წლის 01.02 მდე უზრუნვეყოს სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა. რჩევა: სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება;**

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლაში არის 41/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლის საშტატო ნუსხაში და სკოლის სტრუქტურაში ასახულია სკოლის ექთანი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა ექთანი ,შესყიდული აქვთ მედიკამენტები დადგენილი წესის მიხედვით. . **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას** - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მცენიერების კულტურისა და სპროტის მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური, სკოლის დარაჯი და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ქცევის წესები (თამბაქოს მოხმარების აკრძალვა, გადაუდებელი დახმარების ნომრები და ა.შ.), რითაც რეგულირდება წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლა აღჭურვილია 38 ვიდეო თვალით, რომელიც 24 საათის მანძილზე აკონტროლებს სკოლის გარე და შიდა პრიმეტრს. ყველა ვიდეოთვალი განთავსებულია ისე, რომ სრული პერიმეტრის ხედვა შესაძლებელია. . **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს** - ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში იგრძნობოდა კეთილგანწყობილი და პოზიტიური შეხვედრა, საკლასო ოთახებსა და დერეფნებში გამოფენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები,. გარდა ამისა, სკოლის ინფრასტრუქუტრა (სამასწავლებლო, სამუშაო სივცეების, საკლასო ოთხები) და სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას** - სანიტარული ნორმების დაცვის თვალისაზრისით სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას** - სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლას ემსახურება რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხრიდან განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები** - სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. სკოლა მუშაობს პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის** - სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონკტროლის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრულნი არიან პასუხისმგებელი პირები. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კოორდინატორი სკოლის დირექტორს პერიოდულად აწვდის ინფორმაციას და ხდება მასზე მყისიერი რეაგირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ვიზუალური დათვალირება;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემებთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** -სკოლას არ გააჩნია განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერი, რადგან სკოლის რეაბილიტაცია დასრულდა 2025 წლის 1 სექტემბერს. შესაბამისად მიმდინარეობს სკოლის შიდა და გარე აზომვითი ნახაზების მოწესრიგება. 7777.67კვ. მ შენობა, პირველ სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, ექიმის კაბინეტი, კომპიუტერული

მეცნიერებების ლაბორატორია, კაფეტერიის ოთახი, ოთახი ფიზიკის ლაბორატორიისთვის, მანდატურების ოთახი, დაცვის ოთახი, რესურსოთახი. მეორე სართულზე განლაგებულია: დირექტორის კაბინეტი, საქმის წარმოების ოთახი, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო, ოთახი ქიმია ბიოლოგიის ლაბორატორიისთვის, ბიბლიოთეკა. მესამე სართულზე: საკლასო ოთახები, არქივი, სკოლის მუზეუმი. ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიითვის. ამჟამად სკოლაში ირიცხება 267 მოსწავლე, მათ შორის 14 სსსმ მოსწავლე, სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილი მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას 440 მოსწავლეს. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და შესაბამისი ვადები. **რეკომენდაცია: სკოლამ 10.02.2027 მდე უზრუნველყოს აზომვითი ნახაზების, საკადასრო გეგმისა და განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერის წარმოდგენა.**

**ინდიკატორი მეტწილ შეესაბამისობაშია;**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის** - დაწესებულების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო, სპორტული დარბაზი , სააქტო დარბაზი, მუზეუმის სივრცე) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით:** სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება. დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, რომელიც პარალელურად დასაქმებულია როგორც პედაგოგი, ასევე იგი დასაქმებულია სხვა საჯარო სკოლაშიც,რაც საბიბლიოთეკო სერვისის მიწოდებას აფერხებს. სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და მის მიერ შედგენილი შესაბამისობის გეგმა და მიეცა **რეკომენდაცია**: სკოლამ 04.09.2029 ჩათვლით უზრუნველყოს ბიბლიოთეკარის ვაკანსიის გამოცხადება და მისი აყვანა. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია ;**
4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** - სკოლას აქვს რესურს ოთახი, სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, შენობაში არის ლიფტი, თუმცა ვიზიტის პერიოდში არ იყო მუშა მდგომარეობაში, შესაბამისად ეტლით მოსარგებლე პირის გადაადგილება ლაბორატორიებში და სხვა მნიშვნელოვან სივრცეებში ვერ

ხერხდება. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და მის მიერ შედგენილი შესაბამისობის გეგმა და მიეცა **რეკომენდაცია**: სკოლამ 22.05.2027 ჩათვლით უზრუნველყოს დამონტაჟებული ლიფტის გამართული ფუნქციონირება.. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია ;**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას** - სკოლის ინფრასტრუქტურა ( სკოლის ეზო, დარბაზი, კვების ბლოკი), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის მატერიალური ქონების ფლობის დოკუმენტაცია;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის შედეგები;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.6. საინფორმაციო რესურსები

### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას** - ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია არის აღჭურვილი კომპიუტერებით გარდა ამისა სკოლას აქვს პორტატული კომპიუტერები (ლეპტოპები). სკოლას ჯამში აქვს 38 კომპიუტერი, 38 ლეპტოპი და 7 პროექტორი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად** - სკოლის ტექნოლოგიები ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სასწავლო პროცესის მიდინარეობისას, დგება გაკვეთილების ცხრილი და გარკვეულწილად ეს არეგულირებს სარგებლობის წესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ- ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ვიზულური დათვალიერება;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის კოპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია;

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი** - სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა** - სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow, Eschool-ის ბაზა და office 365. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში** - ექსპერტების მიერ გადამოწმდა და დადგინდა , რომ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool სისტემაში სკოლას სრულყოფილად აქვს ასახული მონაცემები, შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან** - სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის შემოწმების მიხედვით, დგინდება, რომ დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანამანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. ასევე, სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციებიდან ჩანს, 10 დეკემბრის ანგარიში, რომელიც სკოლის დირექტორმა წარადგინა სამეუვრეო საბჭოსთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ- ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია;
- სსიპ- ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი პროფილის დათვალიერება;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის საქმის წარმოების ერთიანი წესი;

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის საქმის წარმოების მეთოდოლოგიური დოკუმნეტი;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 10 დეკემბრის ანგარიში.

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით** - სკოლა ავრცელებს მის მიერ გნახორციელებული საქმიანობისა და საგნანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას. Facebook გვერდზე იდება მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სკოლის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას** - სკოლა ავრცელებს მის მიერ გნახორციელებული საქმიანობისა და საგნანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას. სკოლის ვებ გვერდზე და Facebook გვერდზე იდება მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია, სკოლას განსაზღვრული ყავს ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი.; **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად** - სკოლის წარმოადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლა გამოკითხვას ატარებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, შემდეგ აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შემდეგ სამომვალოდ იყენებს მათ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**
4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას** - - სკოლის ვებ-გვერზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ

ენაზე, რადგან სკოლა სწავლებს ახორციელებს ქართულ ენაზე. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის სოციალურ Facebook გვერდზეც; **ინდიკატორი შესაბამისია;**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**- სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელის Facebook გვერდი;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის ვებ-გვერდი - https://skolebi.emis.ge/schools/ - ზუგდიდის 11 საჯარო სკოლა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება** - სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა რელევანტურია დაა შეესაბამება სკოლის ფინანსურ რესურსებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა** - სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიტორინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სკოლაში შექმნილია ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია;**

დასტურდება მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმა;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის 2026წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- სსიპ-ქალაქ ზუგდიდის 11 საჯარო სკოლის 2025 წლის და 2026 წლის ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილია გამართული სამართლებრივი მექანიზმებითა და მათი პრაქტიკული იმპლემენტაციით. სკოლაში მოქმედებს სპეციალური დოკუმენტი — „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა", რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და მათი რეალიზების გზებს. დანერგილია „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი" (დირექტორის ბრძანება N 2-13, 2026 წელი), რაც უზრუნველყოფს ნებისმიერი საკითხის სამართლიან, დროულ და ობიექტურ შესწავლას. მოსწავლეთა ინტერესების დაცვის რეალური გარანტიაა მათი

ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად, დისციპლინურ კომიტეტში წარმოდგენილია ორი მოსწავლე, რაც უზრუნველყოფს თანასწორობასა და ობიექტურობას დისციპლინური წარმოებისას (მტკიცებულება: დისციპლინური კომიტეტის ოქმი N1, 25.10.2025). სკოლა ორიენტირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების გატარებაზე, რაც გამოიხატება როგორც აკადემიური, ისე პიროვნული თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემაში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები და რეგულაციები არის საჯარო, გამჭვირვალე და აქტიურად გაზიარებული სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეთა უფლებების რეალიზებისა და მათი ინფორმირებულობის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება". აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მოსწავლეთა ჩართულობის ფორმებს სკოლის მართვის პროცესში და მათ უფლებამოსილებებს, რაც სრულად არის გაზიარებული მოსწავლეებისთვის. სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის უფლება-მოვალეობები და თვითმმართველობის დებულება განთავსებულია სკოლის თვალსაჩინო ადგილას (საინფორმაციო დაფაზე) და სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები და დამრიგებლის საათები, სადაც ხდება მოსწავლეთა და მშობელთა დეტალური ინფორმირება მათი უფლებებისა და იმ რეგულაციების შესახებ, რომლებიც იცავს მათ კანონიერ ინტერესებს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, თვითმმართველობის მეშვეობით შეიტანონ წინადადებები რეგულაციების დახვეწის ან ცვლილების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროცესის ორმხრივობასა და ნდობას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლაში მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობა გამყარებულია წერილობითი ხელშეკრულებებით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტებისა და „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული მხარეთა უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების, სკოლის შინაგანაწესის დაცვის, მოსწავლის უსაფრთხოებისა და მხარეთა შორის კომუნიკაციის ფორმების შესახებ. ხელშეკრულების გაფორმების პროცესი გამჭვირვალეა. მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ეძლევათ გონივრული ვადა დოკუმენტის შინაარსის გასაცნობად, რის შემდეგაც ხდება მისი ორმხრივი ხელმოწერა. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მშობელს, ხოლო მეორე ინახება მოსწავლის პირად საქმეში. სკოლაში დაცულია

ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შენახვის წესი. მონიტორინგის პროცესში დადასტურდა, რომ ყველა აქტიურ მოსწავლესთან გაფორმებულია შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი. ხელშეკრულება მშობელთან დადებულია ვადით სტატუსის შეწყვეტამდე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანართი N14 სკოლის შინაგანაწესი;*

*დანართი N44 დამრიგებლობის დებულება;*

*დანართი N45 მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;*

*დანართი N46 მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.*

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლაში მოსწავლის სტატუსის მართვა ხორციელდება გამჭვირვალედ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების სრული დაცვით.სკოლას შემუშავებული აქვს ცალკე დოკუმენტად მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; მოსწავლეთა მიღება პირველ კლასში და მობილობის პროცესი (როგორც შიდა, ისე გარე) წარიმართება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) მეშვეობით, დადგენილ ვადებში. სკოლა უზრუნველყოფს ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხის საჯაროობა. მოსწავლის სტატუსის შეჩერება (მაგალითად, 45-დღიანი გაცდენის ან საზღვარგარეთ გამგზავრების გამო) და შეწყვეტა ხდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. თითოეულ შემთხვევაზე გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება). სკოლას აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასებისა და საფეხურის დაძლევის მკაფიო სისტემა, რაც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შედეგები აისახება ელექტრონულ ჟურნალში, რაც პროცესს ხდის სანდოს და მშობლისთვის ხელმისაწვდომს. სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია მშობელთან. ნებისმიერი გადაწყვეტილება (მაგ. სტატუსის შეჩერების შესახებ) ოპერატიულად ეცნობება კანონიერ წარმომადგენელს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლა ზედმიწევნით იცავს მოსწავლის სტატუსის მართვასთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ მექანიზმს. პროცესების ადმინისტრირება ხდება გამჭვირვალედ და კანონმდებლობის სრული დაცვით. მოსწავლეთა ჩარიცხვა, მობილობა და საფეხურის დაძლევა ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. სკოლა სისტემატურად ახდენს მონაცემების ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS), რაც გამორიცხავს ტექნიკურ თუ სამართლებრივ ხარვეზებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო სასწავლო წლების განმავლობაში სკოლაში სტატუსის შეჩერების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ეს შედეგი მიღწეულია სკოლის ადმინისტრაციისა და დამრიგებლების კოორდინირებული მუშაობით. ხდება გაცდენების ყოველდღიური მონიტორინგი. რისკ-ჯგუფის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან მიმდინარეობს მუდმივი კომუნიკაცია პრევენციის მიზნით. სკოლა მაქსიმალურად უწყობს ხელს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას, რათა თავიდან იქნას აცილებული სტატუსის შეჩერების საფუძვლები (მაგ. 45-დღიანი გაცდენა). მობილობის მსურველი მოსწავლეებისათვის სკოლა დროულად გასცემს საჭირო დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს სასწოლო საზოგადოების მაღალ ინფორმირებულობას. სკოლის ფოიეში, ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სტრუქტურის, შინაგაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და სასწავლო გრაფიკის შესახებ. სკოლის ციფრული პლატფორმები - ოფიციალური Facebook-გვერდი და ვებგვერდი აქტიურად გამოიყენება სიახლეების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სკოლის შიდა პოლიტიკის გასაჯაროების მიზნით. აქ მშობლებს შეუძლიათ გაეცნონ სკოლაში არსებულ წრეებს, პროექტებსა და დამატებით მომსახურებებს. ვინაიდან სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ძირითადი საგანმანათლებლო მომსახურება უფასოა. ინფორმაცია ქცევის წესების შესახებ ინტეგრირებულია დამრიგებლის საათებში, შინაგაწესსა და მოსწავლის ხელშეკრულებაში. მშობლები და მოსწავლეები

ხელმოწერით ადასტურებენ, რომ გაეცნენ ამ მოთხოვნებს. სკოლის ადმინისტრაცია და დამრიგებლები რეგულარულად მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც დეტალურად განმარტავენ სკოლის პოლიტიკასა და დაგეგმილ პროგრამებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლაში ინფორმაციის გავრცელების პროცესი ეფუძნება ეთიკურობის, ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპებს. სკოლა უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი საჯარო კომუნიკაცია იყოს კანონმდებლობასთან შესაბამისი და მომხმარებლისთვის გასაგები. სკოლის ადმინისტრაცია და ისტ სპეციალისტი მუდმივად აკონტროლებენ საინფორმაციო არხებს (სოციალური ქსელი, საინფორმაციო დაფა). ნებისმიერი ინფორმაცია პროგრამების, რესურსებისა თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ოპერატიულად ახლდება, რათა გამოირიცხოს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. ინფორმაციის გავრცელებისას დაცულია ინკლუზიურობის პრინციპები. ვიზუალური თუ ტექსტური მასალები არ შეიცავს დისკრიმინაციულ ნიშნებს (სქესობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ნიშნით). მასწავლებლები და ადმინისტრაციის წევრები ინფორმაციის გავრცელებისას (მაგ. მშობელთა ჯგუფებში ან საჯარო სივრცეში) ხელმძღვანელობენ „პედაგოგის ეთიკის კოდექსით“, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის მაღალ სტანდარტს. სკოლის კედლებზე, ციფრულ პლატფორმებზე გათავსებული სარეკლამო თუ საინფორმაციო მასალები სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნებს (მაგალითად, მოსწავლის ფოტოს გამოქვეყნება ხდება მშობლის თანხმობით).

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანათი N28 ფეისბუქ გვერდი ; სკოლის ვებ გვერდი: skolebi.emis.ge*

*დანართი N47. საფეხურის კურიკულუმები*

*დანართი N46 მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;*

*დანართი N48 საფეხურის დაძლევის მექანიზმის დებულება*

*სკოლის განცხადებების დაფა და ფოიეში გამოქვეყნებული მასალები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლაში მოქმედებს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ეფექტიანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ემოციურ სტაბილურობასა და სასწავლო პროცესში მათ უმტკივნეულო ინტეგრაციას. სკოლას გააჩნია სპეციალურად შემუშავებული „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N2-15 ბრძანებით (09.02.2026 წ.). დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს იმ ნაბიჯებსა და აქტივობებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ახლადჩარიცხული მოსწავლეების მხარდასაჭერად. სასწავლო წლის დაწყებამდე და პირველ კვირებში დამრიგებლები და ფსიქოლოგი/სპეციალური მასწავლებელი მუშაობენ პირველკლასელებთან. ეწყობა სკოლის შენობის დათვალიერება, გაცნობითი თამაშები და საინფორმაციო შეხვედრები მშობლებისთვის, რათა შემცირდეს სასკოლო შფოთვა. სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეებს. მათთვის ინიშნება „მეგზური“ მასწავლებელი(უფრო ხშირად დამრიგებელი), რომლებიც ეხმარებიან ახალ გარემოსთან შეგუებაში. ადაპტაციის პროცესში ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, დამრიგებელი, მანდატურის სამსახური და საჭიროების შემთხვევაში — სამედიცინო პერსონალი. მათი კოორდინირებული მუშაობა მიმართულია მოსწავლისთვის უსაფრთხო და მეგობრული ატმოსფეროს შექმნისკენ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდანვე უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას, რათა მათ წარმატებით გაიარონ სოციალიზაციისა და სასწავლო გარემოსთან შეგუების ეტაპები. სკოლის დირექტორის N2-15 ბრძანებით (09.02.2026) დამტკიცებული „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ წარმოადგენს მთავარ სახელმძღვანელოს, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს სასწავლო წლის პირველივე დღეებიდან. სწავლის დაწყებამდე დამრიგებლები ამყარებენ პირველად კომუნიკაციას მშობლებთან და მოსწავლეებთან, აწვდიან ინფორმაციას სკოლის განრიგისა და გარემოს შესახებ, რაც ამცირებს გაურკვევლობის განცდას. სწავლის დაწყების პირველ კვირას აქცენტი კეთდება არა აკადემიურ დატვირთვაზე, არამედ საორიენტაციო შეხვედრებზე. მოსწავლეები ეცნობიან სკოლის სივრცეებს (ბიბლიოთეკა,

ლაბორატორია, სპორტული დარბაზი), მანდატურის სამსახურს, ექთნისა და ფსიქოლოგის კაბინეტებს. თითოეული კლასის დამრიგებელი პირველივე დღეებიდან ახორციელებს მოსწავლეებზე დაკვირვებას, რათა დროულად მოახდინოს რეაგირება იმ შემთხვევებზე, როდესაც მოსწავლეს უჭირს ახალ კოლექტივში ან რეჟიმში ინტეგრაცია. სკოლა სწავლის დაწყებისთანავე მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც მშობლები იღებენ რეკომენდაციებს, თუ როგორ შეუწყონ ხელი შვილის ადაპტაციას სახლის პირობებში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესზე. მასწავლებლები რეგულარულად აწვდიან მოსწავლეებს ზეპირ და წერილობით უკუკავშირს, სადაც ნიშნების ნაცვლად აქცენტი კეთდება იმაზე, თუ კონკრეტულად რა უნდა გააუმჯობესოს მოსწავლემ და რა გზით. სკოლის ცხრილში გამოყოფილია სპეციალური დრო მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინდივიდუალური ან ჯგუფური კონსულტაციებისთვის. მოსწავლეებს, რომლებსაც უჭირთ კონკრეტული მასალის ათვისება, აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დამატებითი განმარტებები. დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზების დასადგენად, დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია საგნის მასწავლებლებთან და მშობლებთან. მშობლები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას შვილის აკადემიური მიღწევების შესახებ (ელექტრონული ჟურნალის, პირადი შეხვედრების ან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით), რაც მათ საშუალებას აძლევს დროულად ჩაერთონ მხარდაჭერის პროცესში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის იქმნება ადაპტირებული გეგმები, რაც მათ აკადემიური წარმატების თანაბარ შესაძლებლობას აძლევს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლაში ადმინისტრაციული პროცესები წარიმართება ეფექტიანად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი მშობლების უფლებების სრულყოფილ რეალიზებას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ადგილზე წარმოებული დოკუმენტებისადა მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული პლატფორმის ანალიზით ირკვევა რომ სკოლის კანცელარია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლის სტატუსის შესახებ ცნობების, აკადემიური მოსწრების ფურცლებისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის მომზადებასა და გაცემას მიმართვიდან უმოკლეს ვადაში (არაუმეტეს კანონით დადგენილი ვადებისა). სხვა სკოლაში გადასვლის ან გადმოსვლის დროს, სკოლა ოპერატიულად ამზადებს მოსწავლის პირად საქმეს და უზრუნველყოფს მონაცემების ასახვას EMIS-ის ბაზაში, რათა არ შეფერხდეს მოსწავლის სასწავლო პროცესი. სკოლის ადმინისტრაცია მშობლებსა და მოსწავლეებს უწევს კონსულტაციას მათი უფლებების, სკოლის რეგულაციებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ. ნებისმიერი წერილობითი თუ ზეპირი მომართვა (მაგალითად, საგნის ექსტერნატის წესით დაძლევა, საგამოცდო პროცესები და სხვ.) განიხილება დადგენილი

პროცედურით, რაც დასტურდება სკოლის გამავალი და შემავალი დოკუმენტაციის ჟურნალით. სკოლა მაქსიმალურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმებს კომუნიკაციის დასაჩქარებლად, რაც მშობლებს უზოგავს დროს ადმინისტრაციული მომსახურების მიღებისას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას არაფორმალური განათლების გზით. სკოლაში შექმნილია გარემო, სადაც მოსწავლეების ინიციატივები პოულობს პრაქტიკულ მხარდაჭერას კვალიფიციური პერსონალის მხრიდან. არაფორმალურ აქტივობებსა და სასკოლო კლუბებს ხელმძღვანელობენ სკოლის მასწავლებლები (უფროსი და წამყვანი სტატუსით), რომლებსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება პროექტული სწავლებისა და გუნდური მუშაობის მართვაში. სკოლა ახალისებს მოსწავლეთა მიერ შემოთავაზებულ იდეებს. მაგალითად, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ინიცირებული საქველმოქმედო აქციები, გარემოსდაცვითი კამპანიები თუ სპორტული ტურნირები ხორციელდება ადმინისტრაციული და მატერიალური მხარდაჭერით. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბები (მაგ: ეკოკლუბი, ლიტერატურული კლუბი, სამოქალაქო კლუბი და სხვ.), სადაც მოსწავლეები იძენენ ისეთ ტრანსფერულ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, ლიდერობა და თანამშრომლობა. არაფორმალურ აქტივობებში ჩართული მოსწავლეები სკოლის მხრიდან ჯილდოვდებიან სიგელებით, სერტიფიკატებითა და საჯარო აღიარებით (სკოლის სოციალური ქსელებისა და საზეიმო ღონისძიებების მეშვეობით), რაც ზრდის მათ მოტივაციას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლაში სწავლობს 268 მოსწავლე, რაც საშუალებას იძლევა განსაკუთრებით ეფექტური იყოს სკოლაში დანერგილია უკუკავშირის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების საფუძველზე მუდმივად გააუმჯობესოს სასკოლო მომსახურება. სკოლის ადმინისტრაცია რეგულარულად მართავს საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან. ამ შეხვედრებისას გამოთქმული ინიციატივები და შენიშვნები ხდება სკოლის სამოქმედო გეგმის კორექტირების საფუძველი. მოსწავლეთაგან მიღებული ინფორმაციის ანალიზი ხდება ხარისხის მართვის ჯგუფისა და ადმინისტრაციის მიერ. უკუკავშირი მიიღება მშობელთა გამოკითხვების საფუძველზეც, რაც ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა სკოლის უსაფრთხოება, კვება. მაგალითად, ამეტაპზე სკოლას არ აქვს სასკოლო კვების მომსახურება, მაგრამ მშობელთა თხოვნით სკოლის ადმინისტრაცია ამზადებს ინფრასტრუქტურას მომავალი სასწავლო წლიდან ამ სერვისის უზრუნველსაყოფად. უკუკავშირის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები საჯაროვდება სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც ამაღლებს ნდობასა და ჩართულობის მოტივაციას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანართი N44. დამრიგებლის დებულება*

*დანართი N20 სასკოლო სასწავლო გეგმა;*

*დანართი N49 მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;*

*დანართი N50 ტრანზიციის დებულება;*

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება სისტემური ხასიათისაა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა მოსწავლეებს დაეხმაროს სწორი არჩევანის გაკეთებაში. სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან. ეს პარტნიორობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ახლოს გაეცნონ საუნივერსიტეტო გარემოსა და საგანმანათლებლო პროგრამებს. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია: პროფესიული ორიენტაციის მიზნით, სკოლა თანამშრომლობს საზოგადოებრივ კოლეჯთან — „ზუგდიდის აკადემია“. მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება პრაქტიკული უნარების მნიშვნელობის გააზრებასა და პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესწავლაში. სკოლა ხელს უწყობს სამხედრო კარიერით დაინტერესებულ მოსწავლეებს. პერიოდულად ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები ქუთაისის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის წარმომადგენლებთან და სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებთან. აღნიშნული ვიზიტები მოსწავლეებს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას სამხედრო განათლებისა და სამსახურის პერსპექტივების შესახებ. კარიერული დაგეგმვის ფარგლებში დამრიგებლები და სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ეროვნული გამოცდების, პროფესიული ტესტირებებისა და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი მშობლების უწყვეტ ინფორმირებას იმ საგანმანათლებლო და კარიერული გზების შესახებ, რომლებიც მათ ზოგადი განათლების საფეხურის დასრულების შემდეგ ეხსნებათ. სკოლა მუდმივად ადევნებს თვალს სიახლეებს უმაღლესი და პროფესიული განათლების სფეროში. ინფორმაცია ეროვნული გამოცდების, პროფესიული ტესტირების ვადებისა და სიახლეების შესახებ ოპერატიულად ვრცელდება სკოლის საინფორმაციო არხებით (დამრიგებლები,

სოციალური ქსელი, საინფორმაციო დაფა, ღია კარის დღეები). ინფორმაციის მიწოდება ხდება უშუალოდ კომპეტენტური პირებისა და ინსტიტუციებისგან. მოსწავლეები პირველწყაროსგან იღებენ სანდო მონაცემებს ჩარიცხვის პირობებისა და კარიერული პერსპექტივების შესახებ. საფეხურის დასრულებისას (მე-9 და მე-12 კლასები), დამრიგებლები ატარებენ მიზნობრივ შეხვედრებს, სადაც განიხილება თითოეული მოსწავლის ინტერესები და მათზე მორგებული შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. სკოლა აცნობიერებს მშობლის როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამიტომ კარიერული ორიენტაციის შეხვედრებზე ხშირად მშობლებიც არიან მოწვეულნი, რათა მათაც ჰქონდეთ წვდომა სანდო და განახლებულ ინფორმაციაზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების გაუმჯობესება ეფუძნება სისტემური შეფასებისა და ანალიზის პრინციპს. სკოლა არა მხოლოდ აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს, არამედ იკვლევს ამ სერვისების ეფექტიანობას. თითოეული მნიშვნელოვანი აქტივობის შემდეგ (მაგალითად, „ზუგდიდის აკადემიასთან“ ან სამხედრო ბრიგადასთან შეხვედრის დასრულებისას), სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა გამოკითხვას. ფასდება, რამდენად საინტერესო და ამომწურავი იყო მიღებული ინფორმაცია და კიდევ რომელი სფეროების გაცნობა სურთ მოსწავლეებს. შეფასების შედეგები განიხილება საგნობრივ კათედრებზე ან ადმინისტრაციულ შეხვედრებზე. მაგალითად, თუ მოსწავლეთა უკუკავშირით გამოიკვეთა მაღალი ინტერესი IT ტექნოლოგიების მიმართ, სკოლა მომავალი პერიოდისთვის გეგმავს შესაბამისი პროფილის კოლეჯებთან ან სპეციალისტებთან თანამშრომლობას. სკოლა აკვირდება კურსდამთავრებულთა არჩევანს — რამდენმა მათგანმა გააგრძელა სწავლა მემორანდუმით გათვალისწინებულ სასწავლებლებში. ეს მონაცემები ეხმარება სკოლას, განსაზღვროს, რამდენად მუშაობს არსებული პარტნიორობა და საჭიროა თუ არა ახალი მემორანდუმების გაფორმება. სკოლა ითვალისწინებს მშობელთა აზრსაც კარიერული დაგეგმვის პროცესში, რადგან მათი მხარდაჭერა გადამწყვეტია მოსწავლის პროფესიული არჩევანისას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანართი N51. მემორანდუმები;*

*დანართი N52.დამრიგებლის/მასწავლებლის ანგარიშები და პორტფოლიო*

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემური მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს მათთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების მიწოდებას. სკოლის დირექტორის N2-31 ბრძანებით (19.02.2026 წ.) დამტკიცებულია „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია". აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირების, მათი შეფასების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებისა და მონიტორინგის წესს. რეგულაციის შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სამუშაო ჯგუფი (ისგ ჯგუფი), რომლის შემადგენლობაში შედიან: საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, დამრიგებელი და მშობელი. გუნდი კოორდინირებულად მუშაობს თითოეული სსსმ მოსწავლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ინდივიდუალური მიდგომა: ყოველი სსსმ მოსწავლისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ), რომელიც ადაპტირებულია მის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე. რეგულაცია უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი და გარემო იყოს მოდიფიცირებული და მაქსიმალურად ხელსაყრელი მოსწავლის პროგრესისთვის. მექანიზმი ითვალისწინებს მშობლის, როგორც პროცესის თანამონაწილის, აქტიურ ჩართულობას გეგმის შემუშავებისა და რევიზიის ეტაპებზე. სსსმ მოსწავლეს (განსაკუთრებით აუტისტური სპექტრის ან ჰიპერაქტივობის მქონე ბავშვებს) ესაჭიროება ე.წ. „მშვიდი კუთხე". რბილი ავეჯი (პუფები, სავარძელი) და ფარდაგი ქმნის უსაფრთხო, მყუდრო გარემოს, სადაც მოსწავლეს შეუძლია დაისვენოს სენსორული გადატვირთვის დროს. ხალიჩა და რბილი ავეჯი საშუალებას იძლევა, აქტივობები წარიმართოს არაფორმალურ გარემოში (მაგ: იატაკზე ჯდომით თამაში, კითხვა), რაც ხშირად უფრო ეფექტურია სოციალური უნარების განსავითარებლად, ვიდრე მერხთან ჯდომა. ამასთან, ფარდაგი და რბილი ზედაპირები შთანთქავს ხმაურს, რაც მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ხმაურზე მგრძნობელობა აქვთ

**რჩევა - სასურველია რესურსოთახის აღჭურვა რბილი ინვენტარით (მაგ: პუფები, ხალიჩა, რბილი კუთხე). ეს ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლეთათვის სენსორული განტვირთვის სივრცის შექმნას და სასწავლო პროცესის უფრო მრავალფეროვანი, ინტერაქციული მეთოდებით წარმართვას.**

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს, რადგან**

სკოლაში ჩამოყალიბებულია მყარი ინკლუზიური გარემო, რასაც ადასტურებს გამართული ინფრასტრუქტურა (რესურსოთახი, ლიფტი, პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები) და კვალიფიციური კადრები. 15 სსსმ მოსწავლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს 2 სერტიფიცირებული სპეციალური მასწავლებელი და 2 ასისტენტი, რომლებიც მუშაობენ კოორდინირებულად. ასისტენტების ჩართულობა საშუალებას გვაძლევს, მხარდაჭერა იყოს უწყვეტი როგორც გაკვეთილზე, ისე დასვენებებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და სოციალიზაციას. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნის

მასწავლებლებისა და სპეციალური პედაგოგების მჭიდრო კოლაბორაციას. სერტიფიცირებული სპეციალისტები რეგულარულად უწევენ კონსულტაციას საგნის მასწავლებლებს სასწავლო მასალის ადაპტირებასა და დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების შერჩევაში. რესურსოთახი გამოიყენება არა მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობისთვის, არამედ მცირე ჯგუფური აქტივობებისთვის, სადაც ხდება სსსმ და ტიპური განვითარების მოსწავლეთა ინტერაქცია. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს 15-ვე მოსწავლის მშობელთან. ისინი ჩართულნი არიან ისგ-ის (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის) შემუშავების ყველა ეტაპზე. ფიზიკურად ადაპტირებული გარემო მშობლებს აძლევს საშუალებას, თავისუფლად გადაადგილდნენ სკოლის ტერიტორიაზე და იყვნენ სასკოლო ცხოვრების უშუალო მონაწილენი. გარდა აკადემიური მხარდაჭერისა, სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური გუნდი ზრუნავს სსსმ მოსწავლეთა სრულფასოვან ჩართვაზე ყველა კლასგარეშე ღონისძიებაში. სრული ფიზიკური ადაპტაცია გამორიცხავს ბარიერებს და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის ნებისმიერ სივრცესა თუ სერვისზე.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*დანართი N53. ისგ ჯგუფის ოქმი*

*დანართი N54. ინდივიდუალური გეგმა*

*დანართი N55 სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია*

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას (როგორიცაა კვება, ტრანსპორტირება,

გახანგრძლივებული სწავლება ან საერთო საცხოვრებელი). შესაბამისად, სკოლას არ დასჭირვებია დამატებითი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების/ლიცენზიის მოპოვება.

სკოლა აცნობიერებს, რომ მსგავსი მომსახურების დანერგვის შემთხვევაში, ვალდებულია იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოიპოვოს შესაბამისი ნებართვები და დააკმაყოფილოს დადგენილი სტანდარტები (მაგ: სურსათის უვნებლობის, ტრანსპორტის უსაფრთხოების და სხვა).

**2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას (როგორიცაა კვება, ტრანსპორტირება, გახანგრძლივებული სწავლება ან საერთო საცხოვრებელი).

**3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამას და არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას (როგორიცაა კვება, ტრანსპორტირება, გახანგრძლივებული სწავლება ან საერთო საცხოვრებელი).

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ☐ **შეესაბამება**<br>■ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**საშუალო** საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ☐ **შეესაბამება**<br>■ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება ფორმალურ, სტრუქტურირებულ მიდგომას, რაც გამყარებულია **სკოლის დირექტორის 2026 წლის 9 თებერვლის №2-14 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიით.** აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს, სადაც ნათლადაა გამოკვეთილი სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმები. მეთოდოლოგია იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. კერძოდ: მეთოდოლოგია ითვალისწინებს უკუკავშირის სისტემას (გამოკითხვები, სამუშაო შეხვედრები), რაც საშუალებას აძლევს მშობლებსა და მოსწავლეებს, გავლენა მოახდინონ სასკოლო პრიორიტეტების განსაზღვრაზე. დოკუმენტი მასწავლებლებს აძლევს ავტონომიას, მოახდინონ კურიკულუმის მოდიფიცირება კლასის დინამიკისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. №2-14 ბრძანებით განსაზღვრული წესი უზრუნველყოფს, რომ სკოლის სტრატეგიული მიზნები თანხვედრაში იყოს ყოველდღიურ სასწავლო პრაქტიკასთან. აღნიშნული მეთოდოლოგიის არსებობა და მისი პრაქტიკული გამოყენება ადასტურებს, რომ სკოლაში კურიკულუმის განვითარება არის დინამიური პროცესი და არა ფორმალური დოკუმენტი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლის კურიკულუმი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც რეალიზებულია სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი. დოკუმენტების ანალიზითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმის შინაარსი პასუხობს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა მოლოდინებს. კერძოდ, კურიკულუმში ინტეგრირებულია ისეთი თემები და პროექტები, რომლებიც პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს (მაგალითად: ციფრული წიგნიერება, გარემოს დაცვა, სამეწარმეო უნარები). სასწავლო თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე გამოცდილება და მათი ინტერესი კონკრეტული საკითხების მიმართ. კურიკულუმში ასახულია მშობლებთან კომუნიკაციის შედეგად გამოკვეთილი პრიორიტეტები, რაც გამოიხატება არაფორმალური განათლების კომპონენტების გაძლიერებასა და სასწავლო პროცესის

მრავალფეროვნებაში. კურიკულუმი ითვალისწინებს რეგიონულ თავისებურებებსა და სკოლის ტრადიციებს, რაც სასწავლო მასალას უფრო რელევანტურს ხდის მოსწავლეებისთვის. ზემოთთქმული ესადაგება სკოლის სტრატეგიულ დოკუმენტს „სსიპ ქალაქ ზუგდიდის სტრატეგიული განვითარების გეგმას", რაც სასკოლო საზოგადოების საერთო ჩართულობით შექმნილი დოკუმენტია და რომელიც საფუძვლად უდევს სასკოლო სასწავლო გეგმას, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებს.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლის კურიკულუმი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის შედეგს. დოკუმენტის შემუშავების პროცესი წარიმართა გუნდურობის პრინციპით, სადაც თითოეულ რგოლს ჰქონდა თავისი განსაზღვრული როლი: საგნობრივი კურიკულუმები (მატრიცები) შემუშავებულია უშუალოდ სკოლის მასწავლებლების მიერ. კათედრებზე გამართული სამუშაო შეხვედრების შედეგად, პედაგოგებმა მოახდინეს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტირება სკოლის კონტექსტზე, შეარჩიეს რესურსები და შეიმუშავეს ორიგინალური კომპლექსური დავალებები. კურიკულუმის შექმნის პროცესში დაცულია კავშირი სხვადასხვა საფეხურსა და საგანს შორის, რაც კათედრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია. პროცესში ჩართული იყო სკოლის დირექცია (როგორც ფასილიტატორი), მშობლები და მოსწავლეები, რომელთა იდეები და რეკომენდაციები აისახა საბოლოო დოკუმენტში. ეს ადასტურებს, რომ კურიკულუმი სკოლის „საკუთრებაა" და მისი შინაარსი გაზიარებულია მთელი სასკოლო საზოგადოების მიერ

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლაში კურიკულუმის გაზიარება და მისი საჯაროობა უზრუნველყოფილია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. სკოლა ზრუნავს, რომ სასწავლო პროცესის მონაწილეებს ჰქონდეთ საერთო ხედვა და გააზრებული ჰქონდეთ დასახული მიზნები. პროცესი მოიცავს შემდეგ ასპექტებს: კურიკულუმის სამუშაო ვერსიები და საბოლოო დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა პედაგოგისთვის (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით). კათედრებს შორის მიმდინარეობს მუდმივი გამოცდილების გაზიარება, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ერთიანი მიდგომების დამკვიდრებას. სკოლა პერიოდულად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს (მშობელთა კრებები, ღია კარის დღეები), სადაც ხდება კურიკულუმის პრიორიტეტებისა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობა. მშობლებისთვის გასაგებია, თუ რას სწავლობს მათი შვილი და რატომ არის შერჩეული კონკრეტული თემები. დოკუმენტის ძირითადი პრინციპები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე/სოციალურ ქსელში, საინფორმაციო დაფებზე, რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას გაეცნოს სკოლის საგანმანათლებლო ხედვას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
საგნობრივი კურიკულუმები;
სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლის სტრატეგიულიგანვითარების გეგმა
დაწყებისთი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები.

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმების ჩარჩოები სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განისაზღვრება შემოქმედებეითი ტიპის დავალებები, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას და საგნობრივი საკითხის გააზრებას, ორიენტირებულია მოსწავლეზე და ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას შესასწავლი საკითხებით.<br>**<u>რჩევები.</u>**<br>**დაწყებითი საფეხური (ბუნებისმეტყველება):**<br>• სასურველი ყურადღება მიაქციოთ, რომ კურიკულუმებით უზრუნველყოფილი იყოს ყველა სამიზნე ცნებაზე გასვლა<br>• გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალებები დააფუძნოთ კონტექსტ-მაგალითებს. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შესთავაზეთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა- |

| | |
|---|---|
| | განალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქევსაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს.<br>• გაითვალისწინეთ, კომპლექსური დავალების პირობაში მკაფიოდ გამოკვეთოთ შემოქმედებითი პროდუქტის აღწერა.<br>• გაითვალისწინეთ,კურიკულუმში მხოლოდ სტანდარტის თემები ასახეთ და არა სახელმძღვანელოს თემები.<br><br>**საბაზო საფეხური:**<br>• ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად სასურველია შესთავაზოთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქევსაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებზე, შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br><br>დაწყებით საფეხურზე საზ. მეცნიერებების მიმართულებით საგნის ,,მე და საზგადოების" (მე 3-მე 4 კლასი) საგნის ფარგლებში შექმნილი კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები, ძირითადად, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებები: თემაში ერთი შემოქმედებითი დავალება.<br><br>მე-5 - მე -6 კლასის ჩვენი საქართველოს საგნის კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც |

| | |
|---|---|
| | ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კონკრეტული პროდუქტის სახით.<br><br>**რჩევა:**<br>**დაწყებით საფეხურზე, საგანში „მე და საზოგადოება", სასურველია შემოქმედებითი დავალებების საკითხთა დაჯგუფება (საკითხი/საკითხთა კლასტერი) მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკითხების მექანიკური გაერთიანება.**<br>*<br>საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები - ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობის მიმართულებები - ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ძირითადად სწორად იყო შევსებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შემოქმედებითი დავალებების იდეები და კონტექსტის მაგალითები შესაბამისი რესურსებით. გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში საბაზო საფეხურის ყველა კლასში დაგეგმილია შემოქმედებითი დავალებები (მინიმუმ ერთი ან ორი შემოქმედებითი დავალება). თუმცა იყო რიგი უზუსტობებიც: საკითხები გაერთიანებულია (საკითხთა კლასტერი) მექანიკურად (ისტორია), რაც გამოიწვევს შემოქმედებითი დავალების დროში გაჭიანურებას და დაიკარგება შუალედური მიზნის არსი. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხებისა და ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. მათ წარმოადგინეს შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების მთლიანობაში წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. კურიკულუმის დახვეწა მიმდინარე პროცესია.<br>**რჩევა:** |

| | |
|---|---|
| | **სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმები გადაიხედოს და ყველა შემოქმედებითი დავალების საკითხთა კლასტერი შინარსის მიხედვით დაჯგუფდეს.**<br>საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები - ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და მოქალაქეობის მიმართულებები - ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ძირითადად სწორად იყო შევსებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შემოქმედებითი დავალებების იდეები და კონტექსტის მაგალითები შესაბამისი რესურსებით. გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში საშუალო საფეხურის ყველა კლასში დაგეგმილია შემოქმედებითი დავალებები (მინიმუმ ერთი ან ორი შემოქმედებითი დავალება). თუმცა იყო რიგი უზუსტობებიც: საკითხები გაერთიანებულია (საკითხთა კლასტერი) მექანიკურად. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხებისა და ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. მათ წარმოადგინეს შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების მთლიანობაში წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. კურიკულუმის დახვეწა მიმდინარე პროცესია.<br>**რჩევა:**<br>**სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმები გადაიხედოს და ყველა შემოქმედებითი დავალების საკითხთა კლასტერი შინარსის მიხედვით დაჯგუფდეს.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს პროცესის განვითარებას. კერძოდ, მასში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, რომელიც დაზუსტებული ქვეცნებებით. მათთკენ პროცესის მიმართება კი აისახება კურიკულუმში, როგორც საკითხთა სწორი შესაბამისობით, კონტექსტ მაგალითებით და უმთავრესად დავალების პირობით. კურიკულუმებში წარმოდგენილი დავალების პირობები ( განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრანგული ენა, ხოლო |

| | |
|---|---|
| | ინგლისურ ენაში დასაზუსტებელია პირობები) გვაძლევს საშუალებას აღინიშნოს, კურიკულუმის შესაბამისობა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის მიმართებით. |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში (მუსიკა/ხელოვნება) ყურადღება გამახვილებულია გრძელვადიან მიზნებზე. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომლებიც შუალედურ სასწავლო მიზნებად განიხილება და ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე,უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | **სამივე** საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები არის ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყოველივე ეს კარგად გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგებმა საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმეს შემოქმედებითი დავალებებით სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. მოსწავლე ისწავლის, როგორ წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი, დააკვირდეს, რას გაართვა თავი მარტივად, რა წინააღმდეგობები შეხვდა გზად და როგორ გადალახა ისინი მასწავლებლის დახმარებით. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:**<br>**სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით.**<br>**სასურველია, რომ მათემატიკის კათედრამ, როგორც დაწყებით და საბაზო, ასევე საშუალო საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, შუალედური მიზნების დაგეგმვისას, შემოქმედებით დავალებებში მეტად გამოკვეთონ რა პროდუქტს ქმნიან მოსწავლეები.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდის დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიების კურიკულუმის II - VI კლასის ჩარჩო - ცხრილები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები.<br>კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით კათედრაზე (მე და საზოგადოება, ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება),შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, |

| | |
|---|---|
| | რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნას მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს.<br>**რჩევა: სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმის დაგეგმვისას ითანამშრომლონ და გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. დაგეგმონ საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით. მე-3 და მე-4 კლასის ბუნებისმეტყველებაში ჩაასწორონ სავალდებულო თემების დასახელება საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. თემები ოთხივე კლასში ჩაწერონ პირველ სვეტში.ასევე სამიზნე ცნება( და არა მცნება) ყველა კლასში გაასწორონ და გადაიტანონ მე-2 სვეტად.**<br>**მათემატიკაში 1-4 კლასებში თემები ოთხივე კლასში ჩაწერონ პირველ სვეტში.ასევე სამიზნე ცნება გადაიტანონ მე-2 სვეტად. თემები გადაალაგონ სახელმძღვანელოს მიხედვით.**<br>**ქართულსა და მე და საზოგადოებაშიც გაითვალისწინონ იგივე მითითება, რაც მათემატიკაში.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. კურიკულუმებში იკითხება, თუ რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საგნობრივი ჯგუფის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს, ძირითადად, გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებას.<br><br>საგნობრივი ჯგუფის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს, ძირითადად, გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას.<br><br>საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს, ძირითადად, გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | კურიკულუმში სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები, იკვეთება, როგორც შესაბამისი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების შერჩევით, შემდგომ აქტივობების დაგეგმვთ და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარმოდგენით. სკოლის მიერ წარმოდგენლ კურიკულუმებში |

| | |
|---|---|
| | აგრეთვე შესაბამისია ის ძირითადი თუ დამატებითი სასწავლო მასალები, რომელის ესაჭიროება მოსწავლეს, მიზნების მისაღწევად. სკოლას აქვს წარმოდგენილი, დამატებითი, არაფორმალური განათლების შემცველი პროქტებიც, რომელიც აძლიერებს მოსწავლის მიერ პროცესში ეფექტურად ჩართვის შემთხვევებს. სკოლის მიერ კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო წლის კალენდარი და დატვირთვა პასუხობს  სკოლის მიერ დასახული მისაღწევი მიზნების შესაძლებლობას. სადამრიგებლო პროგრამებში ჩანიშნული და განხორციელებული აქტოვებები პასუხობს ეროვნული გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. აღსანიშნავია პროექტი “Social media-friend or enemy” რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეებში  სოციალური მედიის გავლენის ამოცნობას, ავითარებდა კრიტიკული აზროვნება და ასწავლიდა მათ სოციალური მედიის პასუხისმგებლიან და უსაფრთხო გამოყენებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში (მუსიკა/ხელოვნება) ყურადღება გამახვილებულია გრძელვადიან მიზნებზე. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომლებიც შუალედურ სასწავლო მიზნებად განიხილება და ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს  და  მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ  მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი  საკითხები, კონტექსტ მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა: ( დაწყებითი, საბაზო , საშუალო საფეხურები) სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ სტრუქტურირებას და ცნებების ეტაპობრივ გააზრებას.**<br>**კურიკულუმში საკითხი/დავალებები ზოგ შემთხვევაში არაერთგვაროვნადაა ფორმულირებული. სასურველია , კათედრაზე შეთანხმდნენ და საკითხი და დავალება ჩამოყალიბდეს ერთიანი პრინციპების დაცვით. ამისათვის, იხელმძღვანელონ სახელმწიფო ენის საგნობრივი გზამკვლევის მეთოდური რეკომენდაციებით.აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს შეუწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული კომპლექსური დავალებები.<br>**რჩევა:**<br>**სასურველია, კურიკულუმებში გაიწეროს შემოქმედებითი ბუნების დავალებების ის რაოდენობა, რომლის განხორციელებაც რეალურად მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში (მაგ:V და XI კლასი) ;**<br>**სასურველია, მათემატიკის კათედრაზე, შუალედური მიზნის მისაღწევად შერჩეული შემოქმედებითი დავალების იდეა, ჩამოყალიბდეს საგნობრივ სტანდარტში სამიზნე ცნებების შედეგების გათვალისწინებით, სადაც გამოკვეთილი იქნება შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნიან მოსწავლეები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით;**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | -მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება ესგ-ს ყელა შედეგი და სამიზნე ცნება: პირობითი ნიშნები, პროგრამული კოდი (ალგორითმი), ინფორმაცია, ინტერნეტი, ციფრული მოქალაქეობა. კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიცნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის.შედგენილი დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი. იყენებენ მატერიალურ რესურსებსაც-მოდელებს, პლაკატებს, ბარათებს.<br><br>**რჩევა: სასურველია, კურიკულუმში ასახოთ, რომელ მატერიალურ რესურსებს იყენებთ გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმებით.<br><br>**რჩევა:**<br>**სასურველია, დაწყებითი კურიკულუმების, კერძოდ III და IV კლასების „მე და საზოგადოება" და V და VI კლასების „ჩვენი საქართველო" კურიკულუმის ჩარჩოს ბოლო სვეტში — „რესურსები" — აისახოს დამხმარე რესურსები, მაგალითად: ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტერნეტრესურსები და ა.შ.**<br>**საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმებით. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, ადაპტირებული შემოქმედებითი დავალებები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ, შემოქმედებითი (კომპლექსური) დავალებების მოდიფიცირების საშუალებით.** |

| | |
|---|---|
| | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმებით. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ რესურსებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, ადაფტირებული შემოქმედებითი დავალებები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. რესურსები ასახულია კურიკულუმებში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | კურიკულუმებში მითითებულია გრიფმინიჭებული რესურსები კლასების მიხედვით. აგრეთვე კურიკულუმებში (ცვლავ აღსანიშნავია ფრანგული ენის კურიკულუმები) მითითებულია მრავალფეროვანი რესურსები, სამიზნე ცნებისა და ქვეცნების შესაბამისად.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მუსიკისა და სახვითი/გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში მითითებული სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მიზნების ეფექტიანად განხორციელებას.<br><br>რეკომენდაციის სახით, სასურველია რესურსებისთვის განკუთვნილი გრაფა კიდევ ერთხელ გადაიხედოს და ყველა არასრული ველი შეივსოს. ასევე მიზანშეწონილია წარმოდგენილი რესურსების ვალიდურობის გადამოწმება, რათა მათ ჰქონდეთ პირდაპირი კავშირი როგორც თემატიკასთან, ისე დავალებებთან. დამატებით, ელექტრონული ბმულები, რომლებიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს, საჭიროა გააქტიურდეს ან ჩანაცვლდეს მოქმედი ბმულებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსები - როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე ციფრული და მატერიალური რესურსები, ვიდეო თუ აუდიო მასალა. ეს ყველაფერი უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის სასწავლო პროცესს და განაპირობებს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი.<br>**რჩევა:**<br>**(დაწყებითი, საბაზო და საშუალო)**<br>**გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმებში თემათა ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსი/რესურსები, სასურველია მათემატიკის კათედრამ იმავე პრინციპით იხელმძღვანელოს იმ თემათა შემთხვევაშიც, სადაც დამატებითი რესურსი მწირია, ან საერთოდ არ არის მითითებული; მასწავლებელთა გამოცდილება და სკოლის ტექნიკური ბაზა იძლევა აღნიშნული რჩევის გათვალისიწინების შესაძლებლობას.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით ,საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. ასევე უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს,რომლებიც ვალიდირებულია კათედრის მიერ.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

**4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კომპლექსურ დავალებებზე, პროექტებზე მუშაობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი აქტივობები შესთავაზოს მათ.<br>კურიკულუმებს თან ერთვის წარმოდგენილია თემატური მატრიცის ნიმუშები, სადაც გაწერილია კომპლექსური დავალების პირობა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის |

| | |
|---|---|
| | ეტაპები, ნაბიჯები, რაც განახორციელეს მასწავლებელმა თავის მოსწავლეებთან ერთად. აქტივობები მრავალფეროვანია და მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისთვის.<br>რჩევა:<br>**მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით, შეგიძლიათ მოსაწავლეებს შესთავაზოთ არჩევანი შემოქმედებითი დავალების პროდუქტების შექმნისას.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმებით. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები (V კლასი), რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით.<br>ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში.<br>სკოლის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, მასალებსა და შეფასების ხერხებს, რომლებიც მორგებულია თითოეულ მოსწავლეზე, რათა ყველამ თანაბრად ისარგებლოს სწავლის შესაძლებლობებით და წარმატებით ჩაერთოს პროცესში. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შექმნიან როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით.<br>სკოლის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, |

| | |
|---|---|
| | მასალებსა და შეფასების ხერხებს, რომლებიც მორგებულია თითოეულ მოსწავლეზე, რათა ყველამ თანაბრად ისარგებლოს სწავლის შესაძლებლობებით და წარმატებით ჩაერთოს პროცესში. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შექმნიან როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების სერვისების ხელმისაწვდომობა. სკოლამ წარმოადგინა ინდ. გეგმა, რომელშიც იკვეთება სასწავლო პროცესის კონკრეტულ მოსწავლეზე მორგების შემთხვევა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, რომელიც ეხმარება სპეც. საჭიროების მოსწავლეს როგორც თვითმომსახურების და რესურსის ოთახის გამოყენების კუთხით, აგრეთვე ეხმარება მას საგაკვეთილო პროცესში და მონაწილეობას იღებს ინდ. გეგმის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც ასევე ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის საჭიროებებს. გარდა აღნიშნულისა სკოლას აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც ახდენს ინდ. გეგმების როგორც შემუშავების პროცესის ასევე მისი განხორციელების მონიტორინგს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ხელოვნებისა და მუსიკის სასწავლო პროგრამების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი აქტივობები მრავალმხრივ და ინტეგრირებულ ხასიათს ატარებს. აღნიშნული მიდგომა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ცოდნა, შეხედულებები და დამოკიდებულებები გამოხატონ მათთვის მისაღები და კრეატიული ფორმებით.<br><br>მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე: |

| | |
|---|---|
| | ხდება სამუშაო გარემოსა და პირობების მიზანმიმართული მოდიფიცირება, სირთულის დონის რეგულირება და შესაბამისი რესურსების შერჩევა თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს,ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები/აქტივობები, რესურსები,რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება,საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას.სასწავლო მასალის წარდგენისას იყენებენ ვიზუალურ, პრაქტიკულ და თეორიულ მასალას,რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის სტილის, მოდალობების, გათვალისწინებასა და ეფექტურ ჩართულობას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. მასწავლებლები ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან საუბრისას ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში მიმდინარეობს მუშაობა, იგეგმება დიფერენცირებულ მიდგომაზე ორიენტირებული გაკვეთილები, წარმოდგენილი ქონდათ მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული დიფერენცირებული დავალებები სწავლების თითოეულ საფეხურზე რომელიც გამოიყენეს საჭიროებისამებრ. მათი კურიკულუმები იძლევა მოდიფიცირების საშუალებას, გათვალისწინებული რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით.<br>**რჩევა:** |

| | |
|---|---|
| | **სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებითი დავალებების იდეაში გამოკვეთილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნიან მოსწავლეები, ისე რომ შესაძლებელი იყოს ამ პროდუქტის დიფერენცირება.**<br>**სასურველია, კურიკულუმში აისახოს სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესაბამისი ჩანაწერები დავალებების დიფერენცირებასთან**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში .იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში აღწერილი ფიზიკური აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნია ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესს და აქტივობებს გეგმავენ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.<br>ინდიკატორი **შესაბამისობაშია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი ინკლუზიურია.ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული მეთოდების გამოყენების შესახებ. ასევე გადმოგზავნილია პირველი კლასელი მოსწავლის ისგ გეგმა.სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის,<br>**რჩევა:** სასურველია **მასწავლებლებმა კურიკულუმშივე გაითვალისწინოს სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი საკითხები და დავალების იდეა, საჭირო რესურსებით.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

**5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სწავლების სამივე საფეხურისთვის წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს. განმსაზღვრელი-ესგ-თი გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.<br><br>**რჩევა: სასურველია მომავალში შეფასების რუბრიკები შემუშავდეს ყველა სასწავლო თემის შესაბამისად.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს მოცემულია თემატური მატრიცის ნიმუში სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, რომელიც ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებსა და საფეხურის შედეგებს. თუმაცა შეფასების რუბრიკები ძირითადად არის ზოგადი, ან მრავალკომპონენტიანი, ხშირ შემთხვევაში არ უკავშირდება კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებს და აფასებს მხოლოდ მოსწავლის გარკვეულ უნარებს (პრეზენტაციის, შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენა და ა. შ.).<br><br>რუბრიკები წარმოდგენილი აქვთ სამივე საგნობრივი მიმართულებით: ისტორიის, მოქალაეობისა და გეოგრფაიის მიმართულებით. მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების |

| | |
|---|---|
| | საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუების დროსა და გეოგრაფიის შეაფასების რამდენიმე რუბრიკაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**<br><br>**რჩევა:**<br><br>**სასურველია, ყველა კლასში ყველა საგნის ფარგლებში კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები უნდა დაეყრდნოს დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს/მოთხოვნებს.** |
| უცხოური ენები | სკოლამ წარმოადგინა, როგორც განსამზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმები, აგრეთვე შევსებული და მათი გამოყენებით შეფასებული ნამუშევრები. მათში იკვეთება სამიზნე ცნებებთან და შედეგებთან, აგრეთვე განმავითარებელი შეფასებების შემთხვევაში მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირი. შეფასების სისტემის ჩანაწერი რომელიც განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმაში, სკოლას ინტეგრირებული აქვს სადამრიგებლო პროგრამებში. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ადაპტირებულია შეფასების სისტემა და მოცემულია ინდ. გეგმის ბოლო გვერდებზე.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ეფექტიანი პრაქტიკა. შეფასების პროცესში ისინი სისტემატურად იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და დეტალურად გაწერილ რუბრიკებს, რომლებიც დაფუძნებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას, ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის მუდმივ მონიტორინგს და მათ საჭიროებებზე მორგებულ უკუკავშირს.<br><br>ამასთან, შეფასება მიმართულია არა მხოლოდ მიღწეული შედეგების დაფიქსირებაზე, არამედ სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე, რაც ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გაცნობიერებაში და შემდგომ განვითარებაში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა დავალების შეფასების რუბრიკები,როგორც ზოგადი, ისე ცნებებთან მიმართებით. აღნიშნეს, რომ რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს.კათედრა აგრძელებს ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკების შექმნას სახვადასხვა აქტივობისთვის.ეს ყველაფერი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას.<br><br>**რჩევა:(დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე ზრდის შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კრიტერიუმების მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მტკიცებულებებად წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა.<br>**რჩევა:**<br><br>**სასურველია, სამივე საფეხურზე მათემატიკის კათედრაზე შეფასების რუბრიკები გადამუშავდეს, რათა შემოქმედებით დავალებებზე მეტად იყოს მორგებული, მიემართებოდეს** |

| | |
|---|---|
| | **სამიზნე ცნებებს (მათემატიკური მოდელირება, კანონზომიერება, ლოგიკა) და დამყარებული იყოს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე.**<br><br>**მიზანშეწონილია ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალებას და თემის შემაჯამებელი წერის დავალებას ახლდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას.**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდასა და სპორტის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც აქცენტებია გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს (დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება), რომელზეც დაკვირვებას აწარმოებენ მასწავლებლები მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე.<br>**რჩევა: კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.**<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

საგნობრივი კურიკულუმები;

ვერიფიკაციის დებულება

კათედრების სხდომების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მრავალფეროვანი მიმყვანი აქტივობები იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას და აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა საინტერესო |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო პროცესი ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ყველა აქტივობა ეფუძნება კურიკულუმს.<br>საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო პროცესი ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. გაკვეთილები, სასწავლო აქტივობები და შეფასების სისტემა შემუშავებულია ისე, რომ მხარს უჭერს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან ერთობლიობაში, რაც უზრუნველყოფს მათ აკადემიურ წარმატებას. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი |

| | |
|---|---|
| | სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. სკოლა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ყველა აქტივობა ეფუძნება კურიკულუმს. რაც განაპირობებს იმას, რომ სასწავლო პროცესი იყოს მოწესრიგებული, თანმიმდევრული და მიმართული მოსწავლეების.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი ) მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოთი, ადასტურებს, რომ პედაგოგები მიჰყვებიან კურიკულუმში მითითებულ საკითხებსა და რესურსებს. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს აქტიური გამოყენება მითითებულ დამატებით რესურსებთან ერთად აგრეთვე მიუთითებს სასწავლო პროცესის შესაბამისობას კურიკულუმთან.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმის ფარგლებში დეტალურად არის გაწერილი თემებზე მორგებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც პრაქტიკაში რეალურად განხორციელდა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის მოსწავლეთა მიერ შექმნილი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ნამუშევრები, ნათლად ადასტურებს, რომ აღნიშნული დავალებები არა მხოლოდ დაგეგმილია, არამედ ეფექტიანად განხორციელებულიცაა სასწავლო პროცესში.<br><br>აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ცოდნის ინტეგრირებას და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან სრულ შესაბამისობაშია.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ პედაგოგებთან ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად.<br><br>სასწავლო პროცესი დინამიკურია და ორიენტირებულია განვითარებაზე. კათედრა აკვირდება და აანალიზებს კურიკულუმის განხორციელების პროცესს. აღნიშნული |

| | |
|---|---|
| | ანალიზის საფუძველზე შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში და არგებენ მას მოსწავლეთა საჭიროებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. მასწავლებლებლთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა,, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად კეთდება ანალიზი, ითვალისწინებენ სკოლის ძლიერ მხარეებს, გამოწვევებს, მონიტორინგის შედეგებს, რის საფუძველზეც იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება სავალდებულო თემებზე, ქვესაკითხებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები. სასწავლო პროექტები - ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების აღმოჩენასა და განვითარებას. ყველა კლასში ხორციელდება საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილი დავალებები. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას აქვს გამოცდილება წარმართონ სასწავლო პროცესი კურიკულუმების შესაბამისად. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი-დაწყებული საგნობრივი კურიკულუმის შედგენით, გაგრძელებული სწავლების მეთოდებით და დასრულებული შეფასებით-დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ოთხივე საგანის მასწავლებლებმა ისაუბრეს შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ეტაპებზე, აქტივობებსა და შედეგებზე. ასევე პრობლემურ საკითხებზე.<br><br>**რჩევა:** სკოლას მივეცი რჩევა სასწავლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

**2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლაში დანერგილია კურიკულუმის მართვის დინამიური მიდგომა, რაც გულისხმობს მზაობას ცვლილებებისთვის. სკოლა არ მიჰყვება წინასწარ გაწერილ გეგმას ფორმალურად, არამედ მუდმივად აკვირდება სასწავლო პროცესს და ახდენს რეაგირებას წარმოქმნილ საჭიროებებზე. ეს მოქნილობა ვლინდება შემდეგში: თუ მიმდინარე შეფასებებით (დიაგნოსტიკური ან განმავითარებელი) გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ნაწილს გაუჭირდა კონკრეტული თემის ათვისება, მასწავლებლები ახდენენ კურიკულუმის მოდიფიცირებას — ცვლიან სწავლების ტემპს, ამატებენ დამხმარე რესურსებს ან ცვლიან კომპლექსური დავალების ფორმატს. სკოლა მყისიერად რეაგირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ან განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეთა გამოკვეთილ საჭიროებებზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) ადაპტირება. სკოლას აქვს უნარი, სწრაფად გადააწყოს სასწავლო პროცესი შეცვლილი გარემოებების შესაბამისად (მაგალითად: ეპიდემიოლოგიური სიტუაცია, ინფრასტრუქტურული გამოწვევები ან თემის/რეგიონის მასშტაბით მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც სასწავლო კონტექსტში იქნა ინტეგრირებული). საჭიროების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი კონსულტაციების დანიშვნას ან კლუბური მუშაობის გააქტიურებას კონკრეტული მიმართულებით.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**3.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ობიექტური, გამჭვირვალე, ვალიდური და სანდოა. შეფასების რუბრიკაში ასახულია, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების კრიტერიუმები. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს.<br>რჩევა: **სასურველია ყველა თემისთვის შექმნათ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა, რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ და განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები. არსებულ რუბრიკებში არ ჩანს კავშირი შუალედურ მიზანს, შეფასებასა და გრძელვადიან მიზნებს შორის. შეფასების კრიტერიუმები ზოგიერთ შემთხვევაში ზოგადია და არ ამოწმებს შემოქმედებით დავალებაში მოცემულ საკითხს, რომლის კონტექსტშიც ამუშავებს გარკვეულ ცნებებს. V–VI კლასების კონკრეტული შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში შეფასების კრიტერიუმები არ არის ასახული.<br><br>კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი). სასკოლო სასწავლო გეგმაშიც განსაზღვრულია წინასწარ შემუშავებული სხვადასხვა აქტივობის შეფასების ინსტრუმენტები, თუმცა მათი ნაწილი არ შეესაბამება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და გადახედვას საჭიროებს.წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე |

| | |
|---|---|
| | ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, საშუალო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, იცოდნენ, თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა; შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, უმეტეს შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმები ზოგადია. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა, რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ და განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**<br><br>**რჩევა: კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას სასურველია დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებისა და მოთხოვნების გათვალისწინება - განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სწორედ ამ კრიტერიუმებს უნდა ეყრდნობოდეს.** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, აგრეთვე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები და აგრეთვე ნაშრომის შეფასების დოკუმენტები, რითაც დასტურდება, რომ განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნებებისა და შედეგების ნაწილს და შესაბამისად არის ვალიდური, ობიექტური სანდო და სამართლიანი. პედაგოგების მიერ მათი წინასწარი წარდგენისა და მოსწავლეებში სწორი და შესაბამისი მოლოდინის გაჩენით სისტემა ხდება სანდო და გამჭვირვალე. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეფუძნება მკვიდრ წარმოდგენებს და შესაბამისად აკმაყოფილებს ვალიდური სისტემისთვის საჭირო კრიტერიუმებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრაზე (მუსიკა/ხელოვნება) ფუნქციონირებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენს და გაზიარებულია სკოლის საზოგადოებასთან. შეფასება |

| | |
|---|---|
| | აგებულია ობიექტურობის პრინციპზე, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობასა და ვალიდურობას. გამოიყენება როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები. არსებული დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს და მზად არიან მათი შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწისთვის.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს,იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მეთოდები - ტესტები, პროექტები,ურთიერთშეფასება ,თვითშეფასება, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მიზნებს, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.<br><br>**რჩევა:(დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) სასურველია მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას,ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა.<br>**რჩევა:** |

| | |
|---|---|
| | **სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს.**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები,შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგათ აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას,<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ასევე განხორციელებული კომპლექსური ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი და შევსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რის მიხედვით ფასდებიან.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს. მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შეფასების სისტემის ობიექტურობაში და გამჭირვალეობაში. მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და |

| | |
|---|---|
| | გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**<br><br>**რჩევა: სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება .**<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

3. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაცია წარმოადგენს რეგლამენტირებულ პროცესს, რომელიც ეფუძნება მყარ სამართლებრივ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. სისტემის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ორი ძირითადი კომპონენტი: სკოლის დირექტორის **2026 წლის 11 სექტემბრის №2-22 ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება“.** აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს ვერიფიკაციის მიზნებს, პროცედურებს, პერიოდულობასა და კრიტერიუმებს. დებულებით განსაზღვრული წესების აღსრულებას უზრუნველყოფს სპეციალურად შექმნილი სტრუქტურული ერთეული, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის **2026 წლის 9 თებერვლის №2-10 ბრძანებით („ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ“).**
ამ მექანიზმების ერთობლიობა სკოლას საშუალებას აძლევს:

- მოახდინოს შეფასების ინსტრუმენტების (რუბრიკების, ტესტების) წინასწარი და შემდგომი ვალიდაცია;
- უზრუნველყოს ნიშნების ობიექტურობა მოსწავლეთა ნამუშევრების შერჩევითი გადამოწმების გზით;
- შეიმუშაოს რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის შეფასების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც ასახულია სამუშაო ჯგუფის ოქმებში

**5.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით** -ეს დასტურდება იმით, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია შეფასების მონაცემთა (კათედრების სხდომების ოქმები, ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ოქმები, საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკების ნიმუშები და სხვ. მტკიცებულებები)შენახვისა და აღრიცხვის მოწესრიგებული სისტემა. სკოლა უზრუნველყოფს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული მტკიცებულებების დაარქივებას, რაც საშუალებას იძლევა გადამოწმდეს მოსწავლის აკადემიური ისტორია მინიმუმ ბოლო 3 წლის განმავლობაში. აღრიცხვიანობის სისტემა მოიცავს: **მატერიალური არქივს** - სკოლას აქვს გამოყოფილი სივრცე (არქივი), სადაც სისტემატიზებულად ინახება მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებები და მათზე თანდართული შეფასების ფურცლები/რუბრიკები. დაცულია დოკუმენტაციის შენახვის

ვადები (კანონმდებლობის შესაბამისად, არანაკლებ 3 წელი). სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს (EMIS სისტემა), სადაც დაფიქსირებულია ყველა ტიპის შეფასება (მიმდინარე, შემაჯამებელი). განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები (კათედრის თავმჯდომარეები, საქმისწარმოების მენეჯერი), რომლებიც ზედამხედველობენ მტკიცებულებების დროულ ჩაბარებასა და დაცულობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
საგნობრივი კურიკულუმები;
ვერიფიკაციის დებულება კათედრების სხდომების ოქმები
**2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით**
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურუკულუმით ძირითად რესურსად განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე ელექტრონული რესურსები გამოიყენება სასწავლ პროცესში შედეგების მისაღწევად. სკოლას თუმცა აქვს ფიზიკის და ქიმია-ბიოლოგიის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, რომელიც უზრუნველყოფილია გამწოვი სისტემითა გამდინარე წყლით(სველი წერტილებით) არ გააჩნია საკმარისი რესურსი, თვალსაჩინოებები, ქიმიური რეაქტივები, მულაჟები, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის სრულყოფილად ჩასატარებლად.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია**<br>რჩევა: სასურველია **კურიკულუმებში მიუთითოთ ის მატერიალური რესურსებიც, რასაც იყენებთ გაკვეთილებზე სასწავლო მიზნების მისაღწევად.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებაში იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის ძირითად (სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისტორიული |

| | |
|---|---|
| | რუკები, ატლასები) და დამხმარე რესურსებს, რომლებიც ინტეგრირდება გაკვეთილებში პროექტებისა და სიმულაციების საშუალებით, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას; ანალიზი აჩვენებს, რომ რესურსები სრულად აკმაყოფილებს კურიკულუმის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**<br>**რჩევა: სასურველია, კურიკულუმებში დაემატოს დამხმარე რესურსები.** |
| უცხოური ენები | კურიკულუმში მითითებულია ძირითადი გრიფმინიჭებული სახელმღვანელო, რომელსაც სკოლა ზედმიწევნით იყენებს. გარდა ამისა სკოლა იყენებს ციფრულ რესურსებს და ყველა მათგანი პედაგოგებთან საუბარში გაირკვა, რომ არ არის მითითებული კურიკულუმებში. პედაგოგები იყენებენ უფრო მრავალფეროვან ციფრულ რესურსებს ვიდრე ამას, კურიკულუმებში ვხედავთ, განსაკუთრებით ინგლისური ენის კურიკულუმების ნაწილში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრაზე (მუსიკა/ხელოვნება) დანერგილი და მოქმედია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელ ნაწილს და გაზიარებულია სკოლის საზოგადოებასთან. შეფასება ეფუძნება ობიექტურობის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობასა და ვალიდურობას. პრაქტიკაში გამოიყენება როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პედაგოგები ეფექტიანად იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს და აქტიურად მუშაობენ მათი შემდგომი დახვეწის მიმართულებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები (სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული რესურსები), რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დინამიურობასა და ინტერესის ზრდას მოსწავლეთა შორის, ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა ინტერნეტპლატფორმებზე განთავსებულ სასწავლო რესურსებს, კოლეგების მიერ გაზიარებულ საკუთარ რესურსებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი, დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სპორტი | დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.<br>კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების ბანკი - ელექტრონული |

| | |
|---|---|
| | რესურსი school.emis.ge, scratch.mit.edu, code.org ასევე სხვა ვიდეო რესურსი, რომელიც შეესაბამება შესასწავლ საკითხის, მიზანს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს,ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

## 2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის შესაბამისობას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის, ისე სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან. ინტერვიურების დროს გაირკვა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომაზე მოხდა დამხმარე ელექტრონული რესურსების შერჩევა. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალური და ჯგუფური განვითარებისთვის საჭირო უნარების ფორმირებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა ზრუნავს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისთვის გამოყენებული მასალები იყოს მაღალი ხარისხის. კათედრის წევრები ერთად ირჩევენ და ამოწმებენ, რომ ეს რესურსები ერგებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას და მოსწავლეების საჭიროებებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოთვალეს ის ინტერნეტრესურსები რასაც საგაკვეთილო პროცესში იყენებენ.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენის კათედრა, სხდომის განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ პუნქტად ასახელებს რესურსების ნაწილს და წარადგენს დამატებითი რესურსების დამტკიცების |

| | |
|---|---|
| | წინადადებებს. შესაბამისად ვადგენთ რომ სკოლა, კათედრის მეშვეობით ახდენს საჭირო რესურსების ვალიდაციას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის (მუსიკა/ხელოვნება) მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა არსებული შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების მიზანმიმართულ შერჩევასა და ვალიდაციას. აღნიშნული პროცესი მიმართულია იმისკენ, რომ დაცული იყოს მოსწავლეთა ინტერესები და უსაფრთხოება, ასევე თავიდან იქნას აცილებული გადაუმოწმებელი ან მცდარი ინფორმაციის მიწოდება.<br><br>პედაგოგების განმარტებით, გამოყენებული სასწავლო მასალა მკაცრად შეესაბამება როგორც თემატიკას, ისე მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხიანად წარმართვას, მის მიზნობრიობასა და ეფექტიანობას, ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრაზე დამატებითი რესურსების შერჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით და ამ შერჩეული დამხმარე რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე სკოლის მიერ შემუშავებული ვალიდაციის წესის განხილვის შესაბამისად. ასევე მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირი რესურსის გამოყენების შემდეგ, პრაქტიკაში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაზიარება  უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლა იყენებს კონკრეტული მიზნის შესაბამის დამხმარე რესურსს. კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლაში განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით, პროექტორით, ქიმიური ჭურჭლით. არის გამწოვი და წყალმომარაგების სისტემა, სველი წერტილები. შეძლებისდაგვარად, ლაბორატორიაში ტარდება პრაქტიკული სამუშაოები, იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიასაც, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესს. თუმცა ეს არ არის საკმარისი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია უნდა იყოს აღჭურვილი შესაბამისი რაოდენობის თვალსაჩინოებებით, რეაქტივებით, მულაჟებით, ცხრილებით, დიაგრამებით, მოწყობილობებით, ჭურჭლით.<br>სკოლის ლაბორატორიაში არ არის სპეციალური საფარით(მჟავა-ტუტეგამძლე) დაფარული მაგიდა, არ არის შესაბამისი თვალსაჩინოებები, მოწყობილობები, რეაქტივები, ცხრილები, დიაგრამები და სხვ. საჭიროა სკოლამ შეიძინოს ქიმიური პრეპარატები, მატერიალური რესურსები, რათა შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება სხვადასხვა თემის შესწავლისას, კვლევითი სამუშაოების ჩატარებისას და ა.შ.<br>**სკოლას ეძლევა რეკომენდაცია:**<br>**სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტად გაჯანსაღებისა და ექსპერიმენტული ნაწილის სრულყოფილად ჩატარებისთვის, შეავსოს ლაბორატორიული ბაზა (ცეცხლგამძლეზედაპირიანი მაგიდით, დამატებითი თვალსაჩინოებებით, ქიმიური რეაქტივებითა და მულაჟებით, ცხრილებით და ა. შ.) სკოლის მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო პაკეტის და შესაბამისობის გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური ბაზის ეტაპობრივ გამდიდრებას. სკოლა გეგმავს, რომ 2027 წლის 31 იანვრისათვის ლაბორატორიები სრულად იყოს დაკომპლექტებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ყველა საჭირო რესურსით.**<br>**ინდიკატორი მეტეწილად შეესაბამება სტანდარტს.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოებით, ისტორიული რუკებით, ატლასებითა და ციფრული მასალებით, რომლებიც გამოიყენება კლასებში. რაც განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა, კურიკულუმში ნაკლებად არის ასახული რესურსები. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**<br>**რჩევა**: სასურველია **კურიკულუმებში აისახოს დამატებითი სასწავლო რესურსები.** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (440 მოსწავლე) უცხოური ენის კურიკულუმის განსახორციელებლად სკოლას აქვს საკმარისი მატერიალური აღჭურვილობა, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის აქტით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრაზე (მუსიკა/ხელოვნება) წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას ესთეტიკის მიმართულებით მნიშვნელოვანწილად განაპირობებს შესაბამისი ტექნიკური და მატერიალური რესურსების არსებობა და გამოყენება. აღნიშნული რესურსები ქმნის ხელსაყრელ გარემოს სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისთვის და უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობის სრულფასოვან განხორციელებას.<br><br>არსებული ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა შეესაბამება საგნის სპეციფიკას და იძლევა შესაძლებლობას, სასწავლო პროცესი წარიმართოს ორგანიზებულად, მრავალფეროვნად და ხარისხიანად. ეს გარემო ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემას, ისე პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, რაც საბოლოოდ ზრდის სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა ჩართულობას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | დოკუმენტაციის განხილვისა და კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ მასწავლებელი წარმატებით ანხორციელებს კურიკულუმით გათვალისწინებულ თემებს. ასევე სკოლა აქტიურად მიმართავს პროექტულ სწავლებას ზამთრის და ცუდი ამინდის პერიოდში. ასევე აქვთ მაგიდის ჩოგბურთი, სადაც აქტიურად არიან მოსწავლეები ჩართულები. ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მოძრავ თამაშებში, აქტიურად ანხორციელებენ მეზობელ სკოლებთან სპორტულ აქტივობებში (.ამხანაგურ შევედრებს) სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე, რესურსები,პრეზენტაციები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი(გოგონების და ბიჭების გასახდელებით), ასევე, აქვს ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი სპორტული, დინამიური აქტივობებისათვის.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმით განსაზღვრულია ელექტრონული რესურსების გამოყენება. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

**4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლა სრულად არის უზრუნველყოფილი კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიციური ადამიანური რესურსით. სულ დასაქმებულია 35 თანამშრომელი, მათ შორის 21 მასწავლებელი, რომელთა სტატუსები ნაწილდება შემდეგნაირად: წამყვანი მასწავლებელი – 3; უფროსი მასწავლებელი – 18, ჰყავს 2 სპეციალური მასწავლებელი და 2 სსსმ მოსწავლის ასისტენტი,

პერსონალის შერჩევა და მართვა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა" და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტების საფუძველზე. სკოლაში დანერგილია მართვის მონაწილეობითი სტილი. სტრუქტურული ერთეულები (სამეურვეო, პედაგოგიური, მრჩეველთა საბჭოები და მოსწავლეთა თვითმმართველობა) მოქმედებენ დამოუკიდებლად, ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით. მოქმედებს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები, რაც მოიცავს როგორც ფულად ჯილდოებს (პრემიებს), ისე საჯარო აღიარებას (სოციალური ქსელებისა და სასკოლო ღონისძიებების მეშვეობით). კათედრებზე აქტიურად მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების განახლება, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის შესაბამისობას თანამედროვე სტანდარტებთან

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

საგნობრივი კურიკულუმები;

ვერიფიკაციის დებულება

სხდომების ოქმები
დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**
**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
**1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს კურიკულუმის განვითარების უწყვეტ ციკლს. პროცესი ეფუძნება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და განმავითარებელი უკუკავშირის პრინციპებს. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება კურიკულუმში გაწერილი ინდიკატორებისა და შეფასების რუბრიკების მიხედვით. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (პორტფოლიო, კომპლექსური დავალებები, თვითშეფასება), რაც უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესის ზუსტ გაზომვას. სკოლის ადმინისტრაცია და ხარისხის მართვის ჯგუფი ახორციელებს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას. დაკვირვების მიზანია დადგინდეს, რამდენად შეესაბამება გამოყენებული სტრატეგიები კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს. მონიტორინგის შედეგები განიხილება საგნობრივ კათედრებზე. მიღებული მონაცემების საფუძველზე

ხდება კურიკულუმის კორექტირება (ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით) და მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მომზადება. სკოლა აანალიზებს აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს სემესტრულად და ყოველწლიურად, რათა შეფასდეს კურიკულუმის ეფექტიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**2.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემას აქვს **დიაგნოსტიკური და განმავითარებელი ფუნქცია**. ის ორიენტირებულია არა მხოლოდ ხარვეზების იდენტიფიცირებაზე, არამედ მათი გადაჭრის კონკრეტული გზების დასახვაზე.თუ მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა ჯგუფი, რომელიც ვერ აღწევს კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებს, სკოლა გეგმავს დამატებითი მეცადინეობებს ან ცვლის სწავლების სტრატეგიას (მაგ. დიფერენცირებული სწავლება).იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგი აჩვენებს სირთულეებს კონკრეტული მეთოდოლოგიის გამოყენებისას, კათედრა უზრუნველყოფს მასწავლებლის მხარდაჭერას (გამოცდილების გაზიარება, „მენტორინგი“, შიდა ტრენინგი).თუ მონიტორინგი ცხადყოფს, რომ სასწავლო გეგმაში მოცემული დრო ან რესურსი არ არის საკმარისი თემის ასათვისებლად, ხდება კურიკულუმის კორექტირება და მისი მისადაგება მოსწავლეთა რეალურ საჭიროებებთან.მონიტორინგის ანგარიშების საფუძველზე, სკოლის ადმინისტრაცია იღებს მართვის ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია რესურსების ოპტიმიზაციისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისკენ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

1. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) მხარდაჭერაზე, რაც ქმნის ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს. მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, სკოლა გეგმავს მასწავლებელთა შიდა ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებსა და ურთიერთდასწრების პროცესს. ადმინისტრაცია და კათედრის თავმჯდომარეები მასწავლებლებს აწვდიან კონსტრუქციულ უკუკავშირს, რაც ეხმარება მათ პედაგოგიური პრაქტიკის დახვეწაში. შეფასება ემსახურება მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას. მონიტორინგის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმების შემუშავება, რათა არცერთი მოსწავლე არ დარჩეს სასწავლო პროცესის მიღმა. მონიტორინგის შედეგების გაზიარება მშობლებისთვის ხდება რეგულარულად და პოზიტიურ კონტექსტში. მშობლები იღებენ კონკრეტულ რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარონ შვილს აკადემიური თუ სოციალური უნარების გაუმჯობესებაში. მონიტორინგი ასევე მოიცავს სასკოლო კლიმატის კვლევას, რაც ეხმარება სკოლას დროულად მოახდინოს რეაგირება ნებისმიერ სირთულეზე და უზრუნველყოს ემოციურად სტაბილური გარემო ყველასთვის.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

საგნობრივი კურიკულუმები;

ვერიფიკაციის დებულება

კათედრების სხდომების ოქმები

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა არის მრავალკომპონენტიანი და ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს, რაც უზრუნველყოფს შეფასების მაღალ სანდოობასა და ვალიდურობას. შეფასება ხორციელდება როგორც ფორმალური (ტესტირება, შემაჯამებელი წერა), ისე არაფორმალური მეთოდებით: კომპლექსური დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, დებატები და პრაქტიკული სამუშაოები.შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა მასწავლებლის მიერ წარმოებული დაკვირვების ჩანაწერები მოსწავლის ყოველდღიურ აქტივობაზე, ჩართულობასა და სოციალურ უნარებზე. სკოლა აქტიურად იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარებსა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს. ეს ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გააზრებაში. გროვდება მოსწავლის მიერ შესრულებული საუკეთესო ნამუშევრები(მაგ. მოსწავლეთა ნამუშევრები, პროექტები გამოფენილია სკოლის ფოიეში, სასკოლო ხელოვნების მუზეუმსი, ბიბლიოთეკაში და სხვ.), რაც იძლევა დინამიკაში პროგრესის დანახვის საშუალებას. შეფასების წყაროდ ასევე გამოიყენება ელექტრონული სისტემები (მაგ: **emis.ge**), სადაც ფიქსირდება როგორც ქულები, ისე განმავითარებელი კომენტარები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასების პროცესი არის კონტექსტზე ორიენტირებული. ეს ნიშნავს, რომ შეფასებისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ აკადემიური შედეგი, არამედ ის გარემოებები და პირობები, რომელშიც მოსწავლეს უწევს სწავლა. შეფასება ფოკუსირებულია მოსწავლის პერსონალურ ზრდაზე. სკოლა აანალიზებს, თუ რა გზა გაიარა მოსწავლემ საწყისი წერტილიდან მიმდინარე შედეგამდე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალი აკადემიური მზაობის მქონე მოსწავლეების მოტივაციისთვის. შეფასების ინსტრუმენტები ადაპტირდება მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროებებზე. მაგალითად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების შეფასება ხდება მათი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მიზნების კონტექსტში და არა საერთო სტანდარტით.მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ

მოსწავლის ემოციურ მდგომარეობას, ოჯახურ კონტექსტს ან ჯანმრთელობის მდგომარეობას, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს მის პროდუქტიულობაზე კონკრეტულ მომენტში შეფასება ხდება სხვადასხვა გარემოში — იქნება ეს საკლასო მუშაობა, ლაბორატორიული კვლევა, გასვლითი გაკვეთილი თუ დისტანციური სწავლება. ეს საშუალებას იძლევა, მოსწავლის უნარები გამოვლინდეს სხვადასხვა პრაქტიკულ სიტუაციაში.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა პროგრესის შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება მრავალფეროვანი მეთოდების კომბინაციით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ყოველმხრივობას და ობიექტურობას.მონაცემთა შეგროვების ძირითადი მეთოდებია:პირდაპირი დაკვირვება: მასწავლებლები იყენებენ დაკვირვების სქემებს, რათა დააფიქსირონ მოსწავლის ქცევა, ჩართულობა და პრაქტიკული უნარების გამოვლენა უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში;წერითი და ზეპირი მეთოდები: მონაცემების შეგროვება ხდება ტესტების, ესეების, რეფერატების, ასევე ზეპირი გამოკითხვისა და დისკუსიების ოქმების მეშვეობით; პროდუქტების ანალიზი: მასწავლებლები აგროვებენ და აანალიზებენ მოსწავლეთა მიერ შექმნილ ნამუშევრებს: ნახატებს, მოდელებს, ციფრულ პრეზენტაციებსა და კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტებს; გამოკითხვის მეთოდები: მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად გამოიყენება თვითშეფასების კითხვარები, რეფლექსიის ბარათები („გასვლის ბილეთები“) და ინტერვიუები.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში მოსწავლის შეფასება წარმოებს მრავალმხრივი მიდგომით, სადაც აკადემიურ მიღწევებთან ერთად გათვალისწინებულია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე. შეფასებისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იმას, თუ რა შრომა გასწია მოსწავლემ კონკრეტული შედეგის მისაღწევად. ეს განსაკუთრებით აისახება განმავითარებელ შეფასებაში, რაც ხელს უწყობს მოტივაციის შენარჩუნებას. მასწავლებლები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის შემეცნებით სტილს (ვიზუალური, აუდიტორული და ა.შ.) და აფასებენ მათ იმ ფორმატში, რომელიც საუკეთესოდ აჩვენებს მათ რეალურ ცოდნას. შეფასების პროცესში მხედველობაში მიიღება მოსწავლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სოციალური გარემო და ის პიროვნული გამოწვევები, რომელთა წინაშეც ის დგას. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში შეფასება პირდაპირ მიბმულია მათი ინდივიდუალური განვითარების დინამიკაზე და არა ზოგად კლასობრივ სტანდარტზე. სკოლაში მოსწავლის შეფასება წარმოებს მრავალმხრივი მიდგომით, სადაც აკადემიურ მიღწევებთან ერთად გათვალისწინებულია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.შეფასებისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იმას, თუ რა შრომა გასწია მოსწავლემ კონკრეტული შედეგის მისაღწევად. ეს განსაკუთრებით აისახება განმავითარებელ შეფასებაში, რაც ხელს უწყობს მოტივაციის შენარჩუნებას. მასწავლებლები ითვალისწინებენ

თითოეული მოსწავლის შემეცნებით სტილს (ვიზუალური, აუდიტორული და ა.შ.) და აფასებენ მათ იმ ფორმატში, რომელიც საუკეთესოდ აჩვენებს მათ რეალურ ცოდნას. შეფასების პროცესში მხედველობაში მიიღება მოსწავლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სოციალური გარემო და ის პიროვნული გამოწვევები, რომელთა წინაშეც ის დგას. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში შეფასება პირდაპირ მიბმულია მათი ინდივიდუალური განვითარების დინამიკაზე და არა ზოგად კლასობრივ სტანდარტზე. ჯგუფური მუშაობისას შეფასების ფაქტორი ხდება არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტი, არამედ გუნდში მუშაობის, კომუნიკაციისა და სხვების მხარდაჭერის უნარი. ჯგუფური მუშაობისას შეფასების ფაქტორი ხდება არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტი, არამედ გუნდში მუშაობის, კომუნიკაციისა და სხვების მხარდაჭერის უნარი.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

საგნობრივი კურიკულუმები;

ვერიფიკაციის დებულება

კათედრების სხდომების ოქმები

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი „ერთწლიანი სამოქმედო გეგმა" მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა მხარდაჭერას. დოკუმენტი სტრუქტურულად გამართულია, რადგან მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, კონკრეტულ აქტივობებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ინდიკატორებს. ეს ფორმატი თავისთავად ქმნის იმ „საჭიროებათა პაკეტის" საფუძველს, რომელიც სკოლას საშუალებას აძლევს სისტემატურად გააანალიზოს არსებული გამოწვევები და დაგეგმოს მიზანმიმართული ინტერვენციები კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. მაგალითად, გეგმაში აშკარად იკვეთება კურიკულუმზე ორიენტაცია, რადგან გაწერილია ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისკენ. აქტივობები მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ და სოციალურ მიმართულებებს, რაც კომპლექსურ მიდგომაზე მიუთითებს. ასევე, დოკუმენტი ითვალისწინებს დამატებითი რესურსების გამოყენებას სუსტი მხარეების გასაძლიერებლად, რაც მხარდაჭერის პაკეტის პრინციპს ეფუძნება.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

**2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ ქალაქ ზუგდიდი N11 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გარკვეულწილად ასახავს სკოლის მზაობას, წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით შეადგინოს ახალ სასწავლო წლის შესაბამისი საქმიანობები. დოკუმენტში მოცემული აქტივობები და მათი განხორციელების ვადები ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ სკოლა შეძლოს წინსვლისა და გამოწვევების გაანალიზება. გათვალისწინებულია მონიტორინგის მექანიზმი: აქტივობებს ახლავს ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და განმახორციელებელი სტრუქტურები. ეს უქმნის წინაპირობას, რომ დაგეგმილი სამუშაოები შეფასდეს და მიღებული გამოცდილება გამოყენებულ იქნას შემდგომი კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკაში. მასწავლებელებთან და სკოლის დირექციასთან ინტერვიუდან გამოიკვეთა , რომ სასწავლო წელი ემყარება წინა სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებსა და გამოწვევებს. საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო და სხვა სტრუქტურული ერთეულები სისტემატურად აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მიღწეულ შედეგებს, აიდენტიფიცირებენ როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს და ამ ანალიზის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს კურიკულუმის განახლების ან ცვლილებების შესახებ.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

საგნობრივი კურიკულუმები;

ვერიფიკაციის დებულება კათედრების სხდომების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

........................................................................................................................................................

........................................................................................................................................................

........................................................................................................................................................

........................................................................................................................................................

თარიღი 01.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: გიორგი მომცელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ლია ჯალაღონია



ალექსანდრე ლაცაბიძე

ნინო მახარაშვილი

ეთერ ქუთათელაძე

ვარდო გოგილავა

მარინა ჯალიაშვილი

ლალი აბულაძე

ნანა ჩავლეშვილი

თეა გაბისონია

მანანა სეხნიაშვილი